# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 2012 წელი.

№190 (7066)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## „პრეზიდენტის გადადგომა არც ჩემი და არც კოალიციის მოთხოვნა არ არის“ ②



## წინასწარი მონაცემებით, „ქართული ოცნება“ პროპორციული სიით ③ პარლამენტში 44 დეპუტატის, „ნაციონალური მოძრაობა“ კი 33-ის გაყვანას ახერხებს

## ირაკლი ალასანია: ④
## „ქართული ოცნება“ მზად არის, იმუშაოს სააკაშვილთან, ვიდრე იგი საპრეზიდენტო ვადას არ დაასრულებს

## ვინც და რაც მძულდა... ④

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“...

## 30 ლარად ⑨ გაყიდული ბიულეტენები




# ახალი ცხოვრების დასაწყისი

## ⑥ საკუთარი ბედის უკულმართად მჭედელი

## ყვარელში ამომრჩევლები გაყალბებული პირადობის მოწმობებით აძლევდნენ ხმას ⑦

# ბიძინა ივანიშვილი: პრეზიდენტის გადადგომა არც ჩემი და არც კოალიციის მოთხოვნა არ არის

**— ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებაშია ნათქვამი.**

— რაც შეეხება ჩემს მიერ პრესკონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებით, ეს არ არის არც ჩემი და არც კოალიციის პოლიტიკური მოთხოვნა. მე ხაზი გავუსვი მხოლოდ იმას, რომ ერთი პირის ინტერესებზე მორგებული საქართველოს კონსტიტუცია შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ქმნის საკმაოდ ბევრ სირთულეს და ამ ვითარებაში შესაძლოა, თანამდებობიდან გადადგომა იყოს პრეზიდენტისთვის საუკეთესო გამოსავალი, — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.



**როგორც კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებაშია ნათქვამი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი შედიან.**

ამასთან, „ქართული ოცნების“ ლიდერი აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ არ აყენებს არანაირ პოლიტიკურ ულტიმატუმებს და „ქვეყნის საკეთილდღეოდ მზად არის, საქართველოს პრეზიდენტთან და მოქმედი მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან დიალოგისა და სამუშაო ვითარებაში სახელმწიფოებრივი საკითხების მოსაგვარებლად“.

— საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნება“ შეუდგა ქართველი ხალხის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა უზრუნველვყოთ კონსტიტუციური წესრიგი და სახელმწიფო ორგანოების შეუფერხებელი მუშაობა ხელისუფლების შეცვლის პროცესში. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია გარდაუვალს ხდის ახალ საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციის წარმომადგენელ პრეზიდენტს შორის ურთიერთობებს. საჭიროა მრავალი საკითხის მოგვარება. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევქმენით კოალიციის წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია, კოალიციის სახელით აწარმოოს კონსულტაციები მოქმედ პრეზიდენტთან და მთავრობასთან, — ნათქვამია ივანიშვილის განცხადებაში.

კოალიციის ლიდერი ასევე აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობის ფორმირებამდე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სახელმწიფო ორგანოების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედ მთავრობას.

# არსებობს მექანიზმი, რომ ჩვენ, როგორც ოპოზიციამ, შევქმნათ კრიზისი, თუმცა ამას არ ვაკეთებთ

**ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა.**

— ბატონმა ივანიშვილმა თქვა, რომ ის ჯერ კიდევ ვერ გაერკვა საქართველოს კონსტიტუციაში. მინდა თქვენ მაინც გესმოდეთ — დღეს პრემიერ-მინისტრს წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი. პრეზიდენტ სააკაშვილს კონსტიტუციურად არაფერი უშლის ხელს, რომ წარადგინოს ვანო მერაბიშვილის მთავრობა, რომელსაც ახალი პარლამენტი არ დაამტკიცებს. ამას მოჰყვება პოლიტიკური კრიზისი და 6 თვეში ამას მოჰყვება რიგგარეშე არჩევნები. კონსტიტუციით ამის გაკეთება



შესაძლებელია, თუმცა ამას არ ვაკეთებთ, რადგან პატივს ვცემთ ქართველი ხალხის არჩევანს და ქართულ სახელმწიფოს. ამიტომ ველოდებით, რომ ჩვენი ოპონენტებიც ელემენტარულ პატივისცემას გამოიჩენენ ქართული სახელმწიფოს და კონსტიტუციის მიმართ, — განაცხადა ბაქრაძემ.

დავით ბაქრაძის თქმით, დღეს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბარი ქართველი ხალხის უპატივცემულობა და კონსტიტუციის დარღვევაა.

—ჩვენი განცხადებით ვაჩვენებთ მაგალითს, თუ როგორ უნდა ვცეთ პატივი ხალხის აზრს, სახელმწიფოს და დემოკრატიას. ველოდებით რომ ანალოგიურს გააკეთებს „ქართული ოცნებაც!. დღეს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბარი არის ქართველი ხალხის უპატივცემულობა, არის კონსტიტუციის და კანონმდებლობის დარღვევა. იმედი მაქვს ეს განცხადება დარჩება ივანიშვილის პოლიტიკური გამოუცდელობით გაკეთებულ განცხადებად, — აღნიშნა მან.

## ინფორმაცია

# ზვიადაური ლოპოტის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიებას მოითხოვს

**„ქართული ოცნებიდან“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზურაბ ზვიადაური, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, აცხადებს, რომ ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე, ლოპოტის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიებას მოითხოვს.**

**— ყველას მოეთხოვება პასუხი იმაზე, რაც ლოპოტის ხეობაში მოხდა. ეს საქმე აუცილებლად იქნება გამოძიებული. ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას კონკრეტულად ვინც ხელმძღვანელობდა და უკანონოდ გასცემდა ბრძანებებს, მათ სახელს და გვარებს გამოძიება დაადგენს. ამ ეტაპზე, როგორც ჩვენთვის ცნობილია სპეცოპერაციას შს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ვინც უკანონო ბრძანება გასცა, ყველა აგებს პასუხს კანონის წინაშე. ახმეტის რაიონში ძალიან ბევრი უკანონობა ხდებოდა და ამის უკან დგანან ძმები გია და დავით ლორთქიფანიძეები. ერთი შს მინისტრის მოადგილეა, ხოლო მეორე კახეთში კუდ-ის უფროსის მოადგილე. თუნდაც ხე-ტყეს რომ ანადგურებდნენ ახმეტაში უკანონოდ წლების განმავლობაში და ამას უშუალოდ ძმები ლორთქიფანიძეები ხელმძღვანელობდნენ. ყველა აგებს პასუხს, — განუცხადა ზვიადაურმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.**

ჯი-ეიჩ-ენი



## ვინ-ვის

# პრეზიდენტი მთავრობასა და პარლამენტთან მიმართებაში ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობს

**გაძლიერებულ უფლებებს მას მოქმედი კონსტიტუცია ანიჭებს. პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი ნიშნავს და აძლევს თანხმობას მას მინისტრების დანიშვნაზე.**

პრეზიდენტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები. ასევე პრეზიდენტი იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას; უფლებამოსილია, მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე.

პრეზიდენტი აძლევს თანხმობას მთავრობას პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე; პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

პრეზიდენტი, პარლამენტის თანხმობით, უფლებამოსილია, შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

გარდა ამისა, პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრიც მთავრობის წევრებს პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს.

პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის, გადაყენების ან უფლებამოსილების მოხსნიდან შვიდი დღის განმავლობაში, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას შეარჩევს, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში — მთავრობის წევრების კანდიდატურებს.

პარლამენტი, პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში, განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. მთავრობის წევრები უნდა დაინიშნონ ნდობის გამოცხადებიდან სამი დღის ვადაში. პარლამენტი უფლებამოსილია, ნდობა არ გამოუცხადოს მთავრობის შემადგენლობას და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. პრეზიდენტის მიერ აცილების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში დაუშვებელია, აცილებული პირის მთავრობის იმავე შემადგენლობაში დანიშვნა მთავრობის გათავისუფლებული ან გადამდგარი წევრის ნაცვლად.

თუ მთავრობის შემადგენლობამ და მისმა სამთავრობო პროგრამამ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას, თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, პრეზიდენტი 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში, დანიშნავს მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.



რაც შეეხება პარლამენტს, ის უფლებამოსილია, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას სრული შემადგენლობის უმრავლესობით. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა კვლავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

პარლამენტი უფლებამოსილია, დადგენილებით აღძრას მთავრობისთვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების საკითხი. თუ დადგენილების მიღებიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა პარლამენტი სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას. თუ პარლამენტი მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, მთავრობის უნდობლობის საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

მთავრობის გადაყენების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი არ არის, მთავრობის მომდევნო შემადგენლობაში დანიშნოს იგივე პირი პრემიერ-მინისტრად ან წარადგინოს პრემიერ-მინისტრობის იგივე კანდიდატურა.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, დასვას მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახადო კოდექსის და მთავრობის სტუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტებზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებს, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის განმავლობაში გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

ინტერპრესნიუსი

## პოზიცია

# დავით გამყრელიძე პოლიტიკიდან წავიდა

**„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ პარტია დატოვა და პოლიტიკიდან წავიდა. ამის შესახებ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე თავად გამყრელიძემ განაცხადა.**

**მისი თქმით, პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას აღმასრულებელი მდივანი რევაზ სოხაძე შეასრულებს. უახლოეს მომავალში კი, „ახალი მემარჯვენეები“ გამართავენ შეხვედრას და ახალი თავმჯდომარის არჩევაზე იქ ჩამოყალიბდებიან.**

**— მე ერთგული ვარ ჩემი სიტყვის, როგორც ყოველთვის. მე ვთქვი, რომ თუ პარტია ვერ გადალახავდა ბარიერს და პარლამენტში ვერ მოხვდებოდა, პარტიის თავმჯდომარედ ვერ დავრჩებოდი. ამიტომ ვტოვებ „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარის პოსტს. ეს არის ჩემი ბოლო საჯარო გამოსვლა. მე ამიერიდან ჟურნალისტებს კომენტარებს აღარ მივცემ, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. ჩემი აზრით, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, — განაცხადა გამყრელიძემ.**

ინტერპრესნიუსი

# „ქართული ოცნება“ პროპორციული სიით პარლამენტში 44 დეპუტატის, „ნაციონალური მოძრაობა“ კი 33-ის გაყვანას ახერხებს

**ცესკოს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების მიხედვით, კოალიცია „ქართული ოცნება“ პროპორციული სიით პარლამენტში 44 დეპუტატის, „ნაციონალური მოძრაობა“ კი 33-ის გაყვანას ახერხებს.**

„ინტერპრესნიუსმა“ არჩევნებში გამარჯვებულ ძალებს შორის მანდატების რაოდენობა საარჩევნო საკითხებში ექსპერტ კახა კახიშვილთან ერთად, ცესკოს შესაბამისი ფორმულის მიხედვით დათვალა: პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა 77-ზე გადამრავლდა და ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამზე გაიყო. მანდატების გამოთვლა მოხდა ცესკოს მიერ ამ ეტაპზე დათვლილი ხმების რაოდენობის მიხედვით, რაც 98,81 %-ს შეადგენს. აღნიშნული ფორმულის მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ საკანონმდებლო ორგანოში 42 მანდატი, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი 31 მანდატი ერგო, თუმცა როგორც „ინტერპრესნიუსს“ კოალიციის წევრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა, იმის გამო, რომ აღნიშნული მანდატების რაოდენობა ჯამში 73-ს შეადგენს, მაშინ როცა პროპორციული წესით 77 დეპუტატის არჩევა უნდა მოხდეს, გამარჯვებულ ძალებს შორის დარჩენილი 4 მანდატის გადანაწილებაც ხდება.

„საერთო ჯამში, „ქართულ ოცნებას“ 44 მანდატი, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი 33 გამოსდის“, – განმარტა ხადურმა.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველ 44 წევრს წარმოადგენენ: **კახა კალაძე, მანანა კობახიძე, ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, გუბაზ სანიკიძე, გოგი თოფაძე, ზვიად ძიძიგური, ივანე კიღურაძე, დავით საგანელიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, კობა დავითაშვილი, გია ჟორჟოლიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, მაია ფანჯიკიძე, დავით ბერძენიშვილი, ნოდარ ხადური, ნინო გოგუაძე, გელა ხვედელიძე, გიორგი ხეჩინაშვილი, თედო ჯაფარიძე, ზურაბ ტყემალაძე, სოზარ სუბარი, გიგა ბუკია, ლაშა ნაცვლიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ირინე იმერლიშვილი, გიგლა აგულაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, გოგლა ჟვანია, ანი მოროტაძე, გუგული მაღრაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, გიორგი ვოლსკი, ბიძინა გუჯაბიძე, თამაზ ავდალიანი, ალი მამედოვი, ალექსი პეტრიაშვილი, რუსლან პოღოსიანი. შალვა კიკნაველიძე, კარლო კოპალიანი, დემურ ბაშელეიშვილი, ნანა ყეინიშვილი, მერაბ კაჭახიძე და ერეკლე ტრიპოლსკი.** აღსანიშნავია, რომ კოალიციის პარტიულ სიაში მყოფი რამდენიმე პირი, კერძოდ კახა კალაძე, მანანა ნაჭყებია, გუბაზ სანიკიძე, ზვიად ძიძიგური და ერეკლე ტრიპოლსკი საკანონმდებლო ორგანოში მაჟორიტარული არჩევნების გზით მოხვდნენ, რის შესაბამისადაც, პარლამენტში მათ მიერ პროპორციული არჩევნების გზით მოპოვებულ ადგილებს პარტიის მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატები დაიკავებენ. სიის მიხედვით, ესენი შესაძლოა **მირიან (გურამ) ოდიშარია** („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ძ, **ირაკლი სესიაშვილი** (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდანძ, **მალხაზ ვახტანგაშვილი** (ეროვნული ფორუმიდან ძ, **მახირ დარმზიევი** („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ძ და **ფრიდონ საყვარელიძე** (რესპუბლიკური პარტიიდან ძ იყვნენ.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ სიას, პირველი 33 წევრი, რომელიც, არსებული მონაცემების დათვლის საფუძველზე საკანონმდებლო ორგანოში ხვდება, ასე გამოიყურება: **დავით ბაქრაძე, პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი ბარამიძე, თინათინ ბოკუჩავა, გიორგი თევდორაძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, მარიამ საჯაია, გიორგი გაბაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, სერგო რატიანი, გიორგი ოჩიაური, ნიკოლოზ ყიფშიძე, ირმა ნადირაშვილი, გიორგი (გიგი) წერეთელი, პავლე კუბლაშვილი, გიორგი კარბელაშვილი, რამაზ ნიკოლაიშვილი, ზურაბ მელიქიშვილი, ლევან ბეჟაშვილი, აკაკი ბობოხიძე, გიორგი (გივი) თარგამაძე, ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ მახარაძე, გიორგი მელაძე, კობა სუბელიანი, გიორგი ღვინიაშვილი, აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური, გიორგი ხაჩიძე და დავით დარჩიაშვილი.**

აღნიშნული პირებიდან პარლამენტში მაჟორიტარული არჩევნების გზით ხვდებიან **ლევან ბეჟაშვილი** და **გიორგი ღვინიაშვილი,** შესაბამისად, პარლამენტში მათ მიერ პროპორციული არჩევნების გზით მოპოვებულ ადგილებს პარტიის მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატები დაიკავებენ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლა გრძელდება. პარტიათა პროცენტული მაჩვენებელი, სავარაუდოდ, უმნიშვნელოდ შეიცვლება.

2012 წლის მოწვევის პარლამენტში 150 სადეპუტატო მანდატი 77 პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატსა და 73 მაჟორიტარს შორის გადანაწილდება.



## ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას პრეზიდენტი გახსნის

**ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას საქართველოს პრეზიდენტი გახსნის. აღნიშნულს ახალი რეგლამენტის 120-ე მუხლი ითვალისწინებს, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან ამოქმედდება.**

რეგლამენტის თანახმად, ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრება სწორედ პრეზიდენტმა უნდა გახსნას. ამის შემდეგ ქვეყნის პირველი პირი სიტყვას უხუცეს პარლამენტის წევრს გადასცემს, რომელიც სხდომას პარლამენტის თავმჯდომარის არჩევამდე გაუძღვება.

პირველ სხდომას ესწრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ასევე, მასზე შეიძლება მიწვეული იყვნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ქვეყნის სხვა რელიგიურ კონფესიათა უმაღლესი სასულიერო პირები, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარლამენტის წევრები ქვეყნისადმი ერთგულების ფიცს დებენ. ფიცის ტექსტს კითხულობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: **„მე, სრულიად საქართველოს წარმომადგენელი და მისდამი ანგარიშვალდებული, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ პარლამენტის წევრის უფლება-მოვალეობებს, ვიქნები კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და მთლიანობის, ხალხის ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს ძლევამოსილების დაცვის სამსახურში“.** ფიცის ტექსტის წაკითხვის შემდეგ პარლამენტის წევრები წარმოთქვამენ „ვფიცავ!“ და ხელს აწერენ ამ ტექსტს, რის შემდეგაც სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

ახალარჩეული პარლამენტი პირველ სხდომაზე საკითხებს შემდეგი თანამიმდევრობით განიხილავს: აირჩევს პარლამენტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, შექმნის კომიტეტებს და რეგლამენტით დადგენილი წესით აირჩევს მათ თავმჯდომარეებს, რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მთავრობის შემადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს.

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში გაიმართება და მას პრეზიდენტი დანიშნავს. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩეულად გამოაცხადებს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორ მესამედს. პირველი სხდომა კი იმ შემთხვევაში იხსნება, თუ მას ახალარჩეული პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე უწყდება უფლებამოსილება წინა მოწვევის პარლამენტს.



## პროპორციული სისტემით პარლამენტში შესულმა დეპუტატობის კანდიდატებმა ნარკოლოგიური შემოწმება, სავარაუდოდ, 8 ოქტომბრისთვის უნდა გაიარონ

**წინასწარი მონაცემებით, პროპორციული სისტემით პარლამენტში შესულმა დეპუტატობის კანდიდატებმა 8 ოქტომბრისთვის ნარკოლოგიური შემოწმება უნდა გაიარონ.**

საარჩევნო კოდექსის მოთხოვნის გათვალისწინებით, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, წინასწარი მონაცემებით, საარჩევნო ზღვარგადალახული პარტიების და საარჩევნო ბლოკების პარტიული სიიდან, სავარაუდოდ, არჩეულმა ყველა კანდიდატმა ნარკოლოგიური შემოწმება უნდა გაიაროს. მათზე შესაბამისი ცნობა უნდა შედგეს, რომელშიც აღინიშნება, რომ პარლამენტის წევრობის კანდიდატი ჯანმრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლების მქონე დაწესებულება ვალდებულია, ცესკოს წარუდგინოს ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა არჩევნებიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა. თუ პარტიული სიით პარლამენტის წევრად არჩეული პირი ნარკოლოგიურ შემოწმებას კანონით დადგენილ ვადაში არ გაივლის ან შემოწმებაზე უარს იტყვის, პარლამენტი მიიღებს დადგენილებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ.

ამასთან, ნარკოლოგიური შემოწმების გავლასთან დაკავშირებით შედარებით განსხვავებული წესი მოქმედებს მაჟორიტარობის კანდიდატებთან მიმართებაში. მათ შესაბამისი ცნობა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქს არჩევნების წინ, სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად უნდა წარუდგინონ.

„საარჩევნო კოდექსი“ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, პარლამენტი არ ცნობს მის უფლებამოსილებას.

**ინტერპრესი**

**გულის ბუხარი**

# ვინც და რაც მძულდა...

## „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“...

**2007 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული, როდესაც პირველად შეირყა ნაცმოძრაობის ციტადელი და დემოკრატიის შუქურამ მყრალი ჭრაქივით ხრჩოლვა დაიწყო, არაერთხელ ვიწვნიეთ იმედგაცრუება...**

**პრეზიდენტის „სპონტომ“ გადადგომა, დაბლიუ-პრეზიდენტ ბუშის, მთელი „გოსდეპის“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთობლივი მზაკვრული შეთქმულება აღმოჩნდა ქართველი ერის მიმართ!**

**იმ ყინვა-ყიამეთშიც, ასიათასობით ქუჩაში გამოსული ხალხის შემხედვარე ვფიქრობდით, გვეიმედებოდა, აგერ სულ ცოტაც და... მაგრამ, „აბა, ჩემს შვილს ხომ არ მოვჭრი თავსო“ და აკი არც მოჭრეს!..**

სამაგიეროდ, იმან, ვისაც თავი არ მოსჭრეს, მთელ ქართველ ხალხს მოგვჭრა თავი, როდესაც ჯერ საკუთარი ჰალსტუხი „ჩალოღნა“ თბილისში და შემდეგ გორში ცხვირით მიწა მოხნა, რაც საბოლოოდ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დეიურედ დაკარგვადაც დაგვიჯდა!

მაშინაც ვიფიქრეთ, აგერ ახლა, სულ ცოტაც და ამან მაინც უნდა გადაიყოლოს მიშნაცების პრეზიდენტიო, მაგრამ ახლების ლიდერმა დავით გამყრელიძემ პირველმა (!!!ძ გადაუგდო მაშველი რგოლი მორატორიუმის სახით, რაც მთელმა ოპოზიციამ აიტაცა და მიშამაც საქართველოს მარცხი გამარჯვებად იზეიმა რუსთაველზე სამარცხვინო ტაშფანდურით!

მერე იყო და პატარა გრეჩიხამ ითავა ის, რაც დიდმა ვერ შესძლო და საკანი ნომერი ხუთით, 2009 წლის 9 აპრილს მთელი საქართველო ფეხზე დააყენა და, მოდით, ნუ დავუკარგავთ — ბოლო-ბოლო ის მაინც დავუფასოთ, რომ ბავშვებს აუპატიურებენო (!!!ძ და „კაპეზეს“ ეზოში გადახტა, სადაც, რომ იტყვიან, ნახევარი სიცოცხლე წაართვეს ცემით!

და მერე რა მივიღეთ? „მეგობარმა“ დასავლეთმა საკნებით მოფენილ ქალაქს, 26 მაისს გადავსებულ სტადიონსაც და ა.შ. დემოკრატიის შეურაცხყოფა უწოდა...

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ზემოთ ჩამოთვლილი უშედეგო პროტესტებიდან გამომდინარე, დიახაც ვერ ვიჯერებდი, რაც ჩვენ თვალწინ პირველ ოქტომბერს ხდებოდა და როდესაც გვიან ღამით ვირწმუნე, რომ გველი თავგაჭეჭყილია და მისი მოძრაობები მხოლოდ სასიკვდილო კონვულსიებია, აღმოვაჩინე, რომ სიხარულის გამოხატვის ემოციები არ მქონდა — მარათონის ფინიშზე მისული სტაიერივით არაქათგამოცლილი აღმოვჩნდი და ამიტომ ქუჩაშიც კი ვერ გავედი. ვიჯექი სავარძელში გამოფიტული და ტელევიზორს ვუცქერდი...

რაც მოხდა, იმის მთავარი შემოქმედი რომ ბიძინა ივანიშვილია, ამაზე მხოლოდ, ქიზიყურად თუ ვიტყვით, აჯამი თუ დაიწყებს დავას, მაგრამ, რომ არა ზემოთ თქმული, ანუ ის, რომ ამ საშინელი 8-9 წლის მანძილზე, როდესაც ხელკეტი, მომწამვლელი გაზები, დამცირება, შეურაცხყოფა არ დაგვკლებია და ბოლოს, 2011 წლის 26 მაისი, რითიც ქართველი ერის საუკეთესო ნაწილმა, სულ ცოტა, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთო“, მაგრამ ასეთი სიცოცხლის დედაცო... კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიოს, ბიძინა ივანიშვილი ცარიელ ადგილზე ვერაფერს იზამდა!

უფრო მეტიც, რომ არა ის შემაძრწუნებელი, პატიმართა წამების გაუგონარი კადრები, რომელთა გამომზეურებასთანაც, დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილს არანაირი შეხება არა აქვს და ეს მთლიანად წინააღმდეგობის მოძრაობის და პირადად ირმა ინაშვილის გმირობის „ბრალია“, ქართულ ოცნებას იქნება გაემარჯვა კიდეც, მაგრამ არა ასე იოლად, გნებავთ უსისხლოდ, ასეთ, ტოტალურად გამანადგურებელ შედეგს ვერ დადებდნენ!

სხვათა შორის, ამასვე უსვამენ ხაზს უცხოური საინფორმაციო სააგენტოები თუ კომენტატორები, რომ სააკაშვილის შუადღის მზე სწორედ ამ კადრების შემდეგ გადაიხარა დაისისკენ და რაოდენ სამწუხაროა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა და მისი ლიდერები გამარჯვებულთაგან არავის გახსენებია!

მაგრამ ეგ არაფერი, ისტორია, დრო იტყვის თავის სათქმელს...

მანამდე კი, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი — მეამაყება, რომ ამ ხალხთან ახლო შეხების წერტილები მეც მაქვს და მათთან ერთად მეც მისვრია ერთი-ორი კენჭი საძულველი რეჟიმის ბოსტანში!

მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს ეს არცთუ მცირე ლირიკულ-სენტიმენტალური პროლოგი და ახლა იმაზე, რაც გახდა კიდეც მთავარი მიზეზი წინამდებარე წერილისა...

სიძულვილი და ზიზღი!

დიახ, თვალი არ გატყუებთ და ნურავინ დამიწყებს ახლა ჰუმანისტურ, კაცთმოყვარე შეგონებებს — ამ წლების მანძილზე დიახაც შემძულდნენ და მეზიზღებოდნენ ყველანი და ყველაფერი, ვინც და რაც ამ ქართველთმოძულე რეჟიმთან ასოცირდებიან!




გაგიკვირდებათ და, თავად ხელისუფლების „ნათელ სახეებზე“ უფრო მეტად ის ხალხი მაღიზიანებდა, რომლებიც ფარულ თუ აშკარა ალიანსში იყვნენ მიშნაცებთან!

რა ბედნიერებაა, რომ ხელისუფლების ე.წ. ფეისებთან ერთად, როგორებიც თუნდაც ჩიორა თაქთაქიშვილი, აკაკი მინაშვილი, ან ამაზრზენი ნუგზარ წიკლაურია, ყოველდღე ველარც ახლების ძველ სიაფანდებს, დავით გამყრელიძეს და მამუკა კაციტაძეს დავინახავთ (რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ „სასტავში“ ფიქრიაც გაიფიქრებაძ.

ანდა, ის რად ღირს, რომ დასრულდა „ჰალსტუხიანი ხვლიკის“, იგივე შადიმანას, გიორგი თარგამაძის და მისი ქდმ-ს თავხედური აპლომბი — ვანოს პარტია, რომელიც არათუ შარშანდელი თოვლივით გაქრება, არამედ ისიც კი საეჭვოა, რომ მისმა წევრებმა ჟურნალისტიკაში დაბრუნება შესძლონ;

ან ის, რომ ველარ მოვისმენთ პადოშას „პატრიოტულ“ შეგონებებს ანტირუსული ისტერიის თანხლებით. ანდა მისი პარტიის მშვენება, ქალბატონი მაია ორჯონიკიძე, რომ აღარ მოგვიშლის ნერვებს „მაღალი ინტელექტის“ ფრქვევით;

ბაჩუკი ქარდავა და მისი ედპ-ს სახე, ბლანჟეცანცარა გურამ ჩახვაძე? რომელიც ქუჩაში ვერ გამოდის იმის შიშით, რომ „რედიკული“ მოხვდება თავში.

ცნობილი თავხედები ლევან ჩოლოყაშვილი და მიშა თავხელიძე, რომელთა სმენისას ერთხელ ტელევიზორიც დავამტვრიე;

ღმერთო, ვინმე ხომ არ გამომრჩა? რა თქმა უნდა, გამომრჩებოდა, რადგანაც შეუძლებელი თუ არა, ნამდვილად ძნელია ყველას გახსენება, ვინც ვითომ ოპოზიციის ან არასამთავრობო ექსპერტის ნიღბით წლების მანძილზე დაგვცინოდა, მასხრად გვიგდებდა გაუგონარი ცინიზმითა და თავხედობით...

და თუ ასეა, თქვენ დაამატეთ, ჩემო მკითხველებო. მე კი ერთ რამეს დავსძენ — შურისძიება ქვენა გრძნობააო, გამიგონია, მაგრამ, ამავე დროს, რომ ტკბილიც არის ეს ოხერი? მაგრამ არ ვაპირებ ამას და არც სხვას მოვუწოდებ, რადგან ასეთებზე დრომ და მისმა უეჭველმა სამართალმა იძია შური, მაგრამ ვერც იმას შევპირდები ზემოთ ჩამოთვლილ თუ გამორჩენილ ნაძირლებს, რომ თუ სადმე შემხვდნენ, ისე უბრალოდ ჩავუვლი — ჩემი შურისძიება ის იქნება, რომ ერთ-ორ ალიყურს უეჭველად ვაჭმევ, თუნდაც ამისთვის ახალმა, ობიექტურმა სასამართლომ გლდანის ციხეში მიკრას თავი...

დასასრულს მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ ქართველ ხალხს თავისუფლება. დიახ თავისუფლება, რადგანაც ამ ოციოდე წლის წინათ დამოუკიდებლობა კი მოვიპოვეთ, მაგრამ არა თავისუფლება. აქედან გამომდინარე კი ცოცხების ჯანყი არანაკლები მნიშვნელობის (იქნებ მეტისაცძ მგონია, ვიდრე ის, ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა, რადგან დამოუკიდებლობა ადამიანის თავისუფლების გარეშე ისეთივე აბსურდია, როგორც თევზი უწყლოდ, დილა უმზეოდ და ღამე უმთვაროდ!

**დავით მხეიძე**

**P. S. ცხარე ცრემლით დავტირი ბებია ელპიტეს ცხედარს..., ცნობილი ქართული ფილმი გამახსენდა და ასეთი შინაარსის ესემესი გავუგზავნე იმ ღამეს ჩემს რამდენიმე (როგორც წესი, მობილურები გამორთული ჰქონდათ) ახლობელ ადამიანს, რომლებიც ნაცებთან ყოფნას, რა მექნა, სამსახური, ცოლ-შვილი და ა.შ. ამართლებდნენ — ეს იყო და ეს, ჩემი მათადმი შურისძიება!**

**სხვათა შორის, ცოლ-შვილი ჩვენც გვყავდა, ძმებო...**

**დ. მ.**

**არჩევნები ნაციონალურად**



# ირაკლი ალასანია: „ქართული ოცნება“ მზად არის, იმუშაოს სააკაშვილთან, ვიდრე იგი საპრეზიდენტო ვადას არ დაასრულებს

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ირაკლი ალასანიას განცხადებით, სამეგრელოში 10 000-ზე მეტი გაყალბებული ბიულეტენია და 111 უბნიდან 40-ში ოქმში აღრიცხული ბიულეტენების რაოდენობა მოსული ამომრჩევლის რაოდენობას არ ემთხვევა, რაც მისი შეფასებით, ნიშნავს, რომ ე.წ. „სომხური კარუსელი“ დატრიალდა.**

ამის შესახებ ალასანიამ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, გადაცემა „პოლიტმეტრში“ განაცხადა. მისი თქმით, ერთადერთი, ვისაც როლანდ ახალაიას შეუძლია მადლობა გადაუხადოს, არის კუდ-ი, სოდ-ი, საკუთარი ვაჟიშვილები, გამყალბებლები და მეგის ქარდავა, რომელიც მართავდა იმ ზონდერ ჯგუფებს, რომლებიც დილიდან ღამემდე მოსახლეობას აშინებდნენ.

ალასანია აცხადებს, რომ არსებობს ვიდეომასალა, სადაც ტოტალური გაყალბება არის დაფიქსირებული.

**„დაფიქსირებული გაყალბებები სამართლებრივად გაფორმდება, რაც იქნება საფუძველი იმისა, რომ ზუგდიდში ხელახალი არჩევნები ჩატარდეს. ე.წ. სომხური კარუსელითა და ძალოვნების თავგასულობით შედგა არჩევნები სამეგრელოში . მე დავპირდი ამომრჩეველს, რომ არც ერთ ხმას როლანდ ახალაიასა და მის ბანდას არ მოვაპარინებდი და მე ამ დაპირებას შევასრულებ! ჩვენ დავპირდით „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ გადავიყვანდით უმცირესობაში და ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ უმცირესობაშია“,** — განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, პოლიტიკური ცვლილებები საჯარო მოხელეებს, გარდა მინისტრებისა და მათი მოადგილეებისა, არ შეეხებათ და ისინი დეპოლიტიზებულები იქნებიან. ალასანიას განცხადებითვე, მიხეილ სააკაშვილმა გაძარცვა თბილისი პოლიტიკური ფუნქციებისგან, ისევე როგორც ზუგდიდი გაძარცვა სამეგრელოს ცენტრის ფუნქციებისგან, როდესაც სამეგრელოს გვირგვინად ლაზიკა გამოაცხადა.

**„თუმცა „ქართული ოცნება“ მზად არის, იმუშაოს მიხეილ სააკაშვილთან, ვიდრე იგი არ დაასრულებს საპრეზიდენტო ვადას“,** — აღნიშნა მან.

ამასთან, ალასანია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ საქართველოს ევროპულ ოჯახში გაწევრება არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს ომის ვითარება რუსეთთან.

**From.ge**

№190. ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 2012 წელი.

ფიქრები არჩევნების შემდეგ

# ახალი ცხოვრების დასაწყისი



**დასრულდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნები და მასთან ერთად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თითქმის ცხრაწლიანი ერთმმართველობა. საპარლამენტო არჩევნებამდე ჩატარებულმა პოლიტიკურმა მარათონმა დაგვანახა ის განსხვავება, რომელიც ჯერაც არსებობს ცივილიზებულ, დემოკრატიულ სამყაროსა და საქართველოს შორის.**

ოცი წელია, საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება „დემოკრატიის“ ძახილით ირთობს თავს, მაგრამ მათ ზედმიწევნით კარგად იციან, თუ რა დემოკრატიაა ქვეყანაში.

2012 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს წილად ხვდა ფათერაკებით აღსავსე, ეკლიან გზაზე სვლა. რა არ იყო ამ ოცი წლის განმავლობაში - საბჭოთა სივრცეში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნებით დაწყებული, შიდა ომებითა და „მხედრიონი“-ს ბანდიტური ჯგუფების თარეშით დამთავრებული, არჩეული პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს განდევნა და პრეზიდენტის საიქიოს გასტუმრება, მომდევნო პრეზიდენტის დაპირებული „საამური“ ცხოვრება – მილიონი სამუშაო ადგილით და იმავე პრეზიდენტის მიერ ახალი კლანური სისტემის ჩამოყალიბება – დაფუძნებული კორუფციასა და ერთმანეთის გადაგდებაზე, „ვარდების რევოლუცია“ და ახალი ხელისუფლების, უფრო მასშტაბური დაპირება „კარგ ცხოვრებასთან“ დაკავშირებით.

შემდეგ იყო ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა – შესაბამისი შედეგებით – პოლიციელთა მიერ ქუჩებში ხალხის ჩაცხრილვით, საპატიმროებში ადამიანის უფლებათა დარღვევის საზარელი ფაქტებით – უკანალში ცოცხის ტარის ტენით, ცემით და წამებით, ადამიანის დაბეჩავებით და დამონებით.

იყო ხელისუფალთა აკვიატებული პროექტები სხვადასხვა სახის მშენებლობასთან დაკავშირებით. იყო ე.წ. „აღმშენებლობა“, რომელსაც ხალხთან არავითარი კავშირი არ აქვს. ის უმთავრესად მიმართული იყო ფულის გათეთრებისკენ, მმართველი პარტიის ჯიბეების ამოვსებისკენ.

„აღმშენებლობის“ პროცესს „ხალხზე ზრუნვის“ ყბადაღებული რიტორიკა ახლდა.

ამ ოცი წლის განმავლობაში იყო მრავალი პარტია, თავს რომ ოპოზიციად მოიხსენიებდა, მაგრამ კულმინაციურ მომენტში, დიდ თანხებზე, ხელისუფლებას რომ უკრავდა კვერს. „ოპოზიციური“ პარტიებიც უხვად არიგებდნენ დაპირებებს, მაგრამ მათი დაპირებები, ცხადია, გამარჯვების შემთხვევაში, ისეთივე შეუსრულებელი იქნებოდა, როგორც ხელისუფლების.

იცოდა ხალხმა ყოველივე ეს და ამიტომაც თავს არ იკლავდა ოპოზიციის მხარის დაჭერით. მხოლოდ 2003 წელს მოხდა სასწაული და ხალხმა მხარი დაუჭირა ოპოზიციას, რომელმაც ისე, როგორც ადრე, ხალხის ჯანყი გამოიწვია - ერთობ რომანტიკული სახელით „ვარდების რევოლუცია“. და დაიწყო ახალი ისტორიის ფურცლების წერა.

ცხრაწლიანი „მუყაითი“ შრომის შედეგად შეიქმნა ახალი სადამსჯელო ინსტიტუტები, ხელისუფალთა მხარდამჭერი არასამთავრობოები, მედია და სხვა. საერთო ძალებით და დასავლელთა დახმარებით ხელისუფლებამ მიაღწია დაუსჯელობის მწვერვალს, ხალხის დამონების უკიდურეს ეტაპს, ისეთს, ყველაფერი რომ ხალხის არის, მაგრამ სინამდვილეში - არაფერი. ხალხი ამ არაფერზეც თანახმა იყო, ოღონდ სისტემატურად არ მოესმინა, რომ აშენებული სასტუმროები, შადრევნები, მინის ხიდები, სკვერები, საავადმყოფოები და ა.შ. მისია.

ხალხმა ვერ დაიჯერა, რომ საავადმყოფო მისია, ვინაიდან იქ შესული – გველის ნაკბენივით, უკან გამოვარდა – ასტრონომიული გადასახადის გამო. ანალოგიური ხდებოდა სასტუმროებთან მიმართებაში. იდგა ნერწყვმომდგარი ხალხი და შეჰყურებდა ამ ნაგებობებს, ისე, როგორც კატა ძეხვს.

და ბოლოს, როგორც იქნა მიხვდა – ხელისუფალთა ნახელავი მისი არ არის და არც არასოდეს იქნება. ყველაფერი ხელისუფლებისაა, იქ მყოფთა შვილებისა და ნათესავების. მისი რაც არის – საკუთარი მკლავი და გარჯაა, რომელიც ამ ქვეყანაში არავის სჭირდება.

იმედგაცრუებულმა ხალხმა დიდის გაჭირვებით უცხო ქვეყნების საზღვრები გადალახა და სხვათა მონობაში შეყო თავი, თუმცა გაცილებით უკეთესში, ვიდრე შინ. დარჩენილებმა იმედგაცრუებისა და ნიჰილიზმის მორევში ჩაყვინთეს და ასე იქნებოდა, რომ არა რაღაც შეძახილი გამოფხიზლებისა.

შეძახილი ოპოზიციური იყო, თანაც დამაიმედებელი. და უკვე მერამდენედ, როგორც წყალწაღებული ხავსს, ჩამოეკიდა ოპოზიციურ მოწოდებას, თვალი გაახილა, გალაღდა და სულით მიენდო გადამრჩენელ ხმას. ოპოზიციამაც არ დააყოვნა - ხალხის გამოღვიძებით გახარებულმა, ძერწა და ძერწა ახალი გეგმები, ლოზუნგები, მოწოდებები.

ხალხმა გარკვეული დოზით შიშის ბარიერიც გადალახა და მიტინგებზეც გამოვიდა და ის-ის იყო ერთ მუშტად შეიკრა, რომ მზაკვრულმა ხელმა იდილია არია. ტელევიზიით გადაცემულმა ვიდეოსიუჟეტებმა სხვაგვარად გაახელინა თვალი.

ის, რაც არჩევნების ფინიშამდე მოხდა – მსოფლიო პოლიტიკის ფენომენია. დემოკრატიულ ქვეყნებში და არა მარტო იქ, არამედ არადემოკრატიულშიც უცხო არ არის საარჩევნო ბატალიებში ერთმანეთის კრიტიკა, თუნდაც ლანძღვა, მაგრამ არსებობს დაუდგენელი ზღვარი, მორალური კოდექსი, რომელსაც არც ერთი მხარე არ ლახავს.

საქართველო უნიკალურია. და რომ ეს ასეა, არჩევნებამდე დარჩენილ ერთ კვირაში მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა. შეურაცხმყოფელმა ვიდეოკადრებმა წალეკეს ტელეეკრანები, ვიდეოფირების კომენტარებმა შეძრეს საზოგადოება. ორჭოფობაში ჩავარდნილმა ამომრჩეველმა, დაბნეულმა და უიმედოდ დარჩენილმა უმწეოდ დაიწყო აქეთ-იქით ყურება.

ამომრჩეველი შეაკრთო თვით მთავარ ოპოზიციაში გაჩენილმა ბზარებმა, ოპოზიციონერთა ერთმანეთის დაუნდობელმა ლანძღვამ, ერთ წინადადებაში „ტყ-ს“ სამჯერ მოხსენიებამ და ა.შ.

ადამიანს შეიძლება ჰქონდეს გამილიონერების ოცნება ისე, როგორც პარლამენტის წევრობის კანდიდატს, მაგრამ ეს სახელმწიფო თანამდებობის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დადგმულ სატელევიზიო სპექტაკლს, მდარეს და ამაზრზენს გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენ ქვეყანაში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური მისიები. ერთ-ერთის წარმომადგენელმა გაკვირვებულმა მკითხა – ფარული ვიდეოჩანაწერების საყოველთაო სატელევიზიო ჩვენება ტრადიციაა ამ ქვეყანაშიო?

კომპრომატთა სატელევიზიო სპექტაკლებით ქართულმა პოლიტიკამ მთელს მსოფლიოს დაანახვა დემოკრატიული საზოგადოებისთვის მიუღებელი სახე. ასეთთან მეგობრობა საჩოთიროა. ასეთის დაამხანაგება საერთაშორისო სტრუქტურებში სახიფათოა. ასეთის პატრიოტული ძახილი სამშობლოსა და ხალხის „კეთილდღეობაზე“ – სიცრუეა.

სწორედ ასეთმა ადამიანებმა შექმნეს „კარგი“ ქართული ცხოვრება. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ხაზი გადაესვა წარსულს, გამოიძერწა ახალი სახე, ახალი ქართველისა – საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანებისთვის მიუღებელი.

დღეს ბევრი ამბობს, რომ გაშიშვლებული გინების ტელეეკრანზე გაშვება მიუღებელია, მაგრამ სახლში, ქუჩაში, საქალაქო ტრანსპორტში, საჯარო თავშეყრის ადგილებში, პარლამენტში ბილწსიტყვაობას რომ ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი?

საზოგადოება მიეჩვია დედის გინებას - იავნანასავით ჩაესმის „შენი დედა“, „ჩემი დედა“, „ყ-ე“ და სხვა სიტყვები, მაგრამ ის, რაც ბოლო ერთ კვირაში მოისმინა მომავალი პარლამენტარებისგან – მისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა და არა იმიტომ, რომ მიჩვეული არ არის, არამედ იმიტომ, რომ ეხამუშა „ქვეყნის მხსნელთა“ მხრიდან.

პირველს, რასაც ახალმა პარლამენტმა უნდა მიაქციოს ყურადღება - ბილწსიტყვაობაა, თორემ ისედაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ პარლამენტართა დედის გინება მდუღარესავით გადაევლება ქვეყანას. ავადსახსენებელ რუსეთის დუმაში ერთ-ერთ პარლამენტარს დუმამ აუკრძალა დებატებში მონაწილეობა, ვინაიდან მან კოლეგებს ქურდები უწოდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სატელევიზიო პროგრამა „საერთაშორისო დღიურში“ ჩემს მიერ გამოყენებული ამერიკული სიმღერის გამო გადაცემა ეთერში მხოლოდ სიმღერის შეცვლის შემდეგ გავიდა, ვინაიდან სიმღერის ტექსტში თითო-ოროლა ინგლისური უცენზურო სიტყვა იყო გაჟღერებული.

სულ ახლახან, რადიო „მაესტროს“ ეთერში ერთი ქართული ჯგუფის მიერ შესრულებულ სიმღერა ისე უხვად იყო დახუნძლული დედის გინებითა და ადამიანის სასქესო ორგანოების ხსენებით, როგორც ნაყოფიერ შემოდგომაზე ხეხილის ბაღი. სადამდე?!

ახალ პარლამენტს უამრავ მანკიერებასთან აქვს შესაჭიდებელი, მათ შორის დასაქმებასთან, ჯანდაცვასთან, საგარეო პოლიტიკასთან და ა.შ., მაგრამ უპირველესად, ბილწსიტყვაობის ასალაგმად. ეს ის პრობლემაა, დიდ დანახარჯს ან ძალისხმევას რომ არ საჭიროებს.

კომპრომატთა ბრძოლაში „ოცნებამ“ ბეჭებზე დადო „ნაციონალური მოძრაობა“. საქართველოს საპატიმროებში ასახული წამების და შეურაცხყოფის ფაქტების დემონსტრირებამ აავსო საზოგადოების მოთმინების ფიალა. ცხრა წლის განმავლობაში ივსებოდა ის, მაგრამ საბოლოო შევსება „ოცნების“ ლიდერის გამოჩენამდე არ მოხდა. სწორედ მან გამოაფხიზლა სალათას ძილს მიცემული საზოგადოება და არა კოალიციაში თავმოყრილმა სხვადასხვა პარტიებმა. ერთმა კაცმა მოახერხა ის, რაც შეუძლებელი იყო ქართული პოლიტიკისათვის მრავალი წლის განმავლობაში. სახელმწიფო მანქანას დაპირისპირებულმა ლიდერმა მძიმე ბრძოლაში შეძლო რეპრესიული სახელმწიფო სისტემის დამარცხება.

იწყება ახალი პოლიტიკური ცხოვრება და მასთან ერთად იბადება ახალი საზოგადოება ერთობ განსხვავებული და საიმედო, ვიდრე წარსული.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევების გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისია შეიქმნება

**არჩევნებზე** დაფიქსირებული დარღვევების გამოსაძიებლად საპარლამენტო კომისია შეიქმნება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში შეხვედრიდან გამოსულმა სოზარ სუბარმა განუცხადა, — კომისიას თავად სოზარ სუბარი უხელმძღვანელებს.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მიზანია, საარჩევნო პროცესი ბოლომდე მივიდეს, რადგან დაფიქსირებულია ბევრი დარღვევა.

— ჩვენ ვსწავლობთ ძალიან ბევრ დარღვევის ფაქტს. მაგალითად, თეთრიწყაროს ერთ-ერთ უბანზე შედეგები გაუქმდა. ასევე, ვმუშაობთ ყველა სხვა რეგიონში არსებული დარღვევების შესწავლაზე, სწორედ ამიტომ შევქმნით საპარლამენტო კომისიას, რათა არ დარჩეს რაიმე გამოუძიებელი და ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს საქართველოში არჩევნების გაყალბების თემა, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

მისივე თქმით, საკადრო გადაწყვეტილებებზე საუბარი ჯერჯერობით არ ყოფილა და ამასთან დაკავშირებით განცხადება მცირე ხანში გაკეთდება.

## საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს

**საქართველოს** ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს. ამას კონსტიტუცია ითვალისწინებს. ქვეყნის ძირითადი კანონის თანახმად, პირველი სხდომის დღეს პრეზიდენტი დანიშნავს. პარლამენტი მუშაობას დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილების დადასტურების შემთხვევაში შეუდგება.

გარდა ამისა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდანვე ძალაში შედის საკონსტიტუციო მუხლი, რომლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლად ქალაქი ქუთაისია განსაზღვრული.

ამასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში შესული ერთ-ერთი ბოლო ცვლილებით, პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს არის დასაშვები.

ინტერპრესი

◎ ახლა მაინც მოუხმე ჭკუას!

# საკუთარი ბედის უკუღმართად მჭედელი

**ვურჩევ, დაწეროს განცხადება გადადგომის შესახებო, აღნიშნა ტელევიზიით თავის გამოსვლისას ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. გაოპოზიციონერებულ „ნაცმოძრაობის“ ლიდერს და, ჯერჯერობით, ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ურჩევს ბატონი ბიძინა, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომას ურჩევს.**

მდაააა... ასეა ცხოვრება, ვერა, ვერა, ვერ „გაქაჩე“!.. თითქოს, არც სწავლა-განათლება გაკლდა, არც უცხოური უნივერსიტეტები, არც ენების ცოდნა... ეეეე... გული აკლდა, სული აკლდა, ქართული ჯიგარი აკლდა შენი და შენი „კამანდის“ ცხრაწლიან, ვითომ, მოღვაწეობას. არადა, თავიდან იმედი ჰქონდა ხალხს, რომელმაც 35 წლის ასაკში საქართველოს პრეზიდენტად აგირჩია! და შენ – სრულიად ახალგაზრდას – ბედნიერება გერგო ღვთისმშობლის



წილხვედრი ქვეყანა, დავითისა და თამარის მშობელი ქვეყანა გემართა, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში კეთილი კვალი დაგეტოვებინა!.. არა და არა!.. ჩვენი ხალხი მალე მიხვდა, რა შეცდომაც დაუშვა შენი უმაღლეს თანამდებობაზე „წამოსკუპებით“. ჰოდა, დაიწყო სხვადასხვაგვარი პროტესტის ფორმა. გაიშალა რუსთაველზე კარვები, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, სიცოცხლეგამწარებული ჩვენი თანამემამულენი დღე და ღამეს ატარებდნენ ხელისუფლების უგუნურებით აღშფოთებულნი. მახსოვს, იმ დღეებში ჩვენი კოლეგა, გაზეთ „შანსის“ რედაქტორ-გამომცემელი ბონდო ქურდაძე, რომელიც, ამწუთას, სამშობლოში აუტანელი ყოფის გამო, ოჯახით ევროპაშია გადახვეწილი, სპეციალურ გაზეთს უშვებდა და ლექსიც კი დამიბეჭდა (არ არის გამორიცხული, წაკითხულიც გქონდესძ:

**რუსთაველი კვლავ გუგუნებს ერთხმად,**
**რუსთაველზე კვლავ სუნი დგას დენთის,**
**ეს რა ბედი გაგიმზადა ღმერთმა –**
**შენ ვერ გახდი ხალხის პრეზიდენტი.**

**ჩვენ გელათში გვახსოვს ფიცი შენი,**
**ელვარება ალმასის და ფარჩის,**
**ეჰ, ამდენი დაპირების მერე,**
**ბოკერიას პრეზიდენტად დარჩი!**

ჰო, ასე იყო... კი, ბატონო: შენდებოდა ცათამბჯენები, ხიდები და გზები, მაგრამ ერთი ჩვენი ცნობილი მწერლის თქმისა არ იყოს, შენ და შენი „ნაციონალები“ აშენებდით იმას, რისი აშენებაც შეიძლებოდა და ანგრევდით იმას, რისი დანგრევაც არ შეიძლებოდა!.. პირდაპირ აკნინებდით ქართულ სულიერებას, ქართულ მამაპაპურ ტრადიციებს, ქართულ კულტურას, განათლებას... ყველაფერს, ყველაფერს, რითაც ჩვენს სამშობლოს აფასებენ, რითაც საქართველო სამაგალითოა სხვათათვის!..

ჰოდა, რატომ?! რატომ?! რატომ?! შენ ხომ „ტუზი“ დაგეცა (როგორ და რანაირად, ეს კიდევ სხვა თემააძ, რომ საქართველოში პირველი კაცი ყოფილიყავი?! გონიერად გამოგეყენებინა ეგ ძალაუფლება?! მაგრამ, როგორც ვთქვი, ქართული ჯიგარი აკლდა გონიერებას, პრეზიდენტო! აბა, რა იყო ეს: ამ ერთ მტკაველ მიწას, კიდევ დაპატარავება უნდოდა?!. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმვა კი არა, აგერ, ხელის გაწვდენაზე რუსი გვითვალთვალებს და რა მოგველის ხვალ შენი პოლიტიკის გადამკიდეთ, კაცმა არ იცის! ახლა, შეიძლება, ზოგმა შემიკურთხოს, მაგრამ „ენამ გულისა უნდა თქვას“, მე ცოტათი მეცოდები კიდეც, ცხრა წლის შემდეგ ზიზღითა და წყევლა-კრულვით რომ მიგაცილებს შენი ხალხი, ჯერ კიდევ ასაკით ახალგაზრდა პრეზიდენტს! ო, რა შანსი გაუშვი, რომ მამულიშვილური საქმეები გეკეთებინა! ეტყობა, შენთვის სულ ერთი იყო, ოღონდ, შენი „ხუშტურები“ გაგესწორებინა...

ვურჩევ, გადადგესო, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. ცუდს არ გირჩევს, ჭკვიანი კაცია, წინგამხედავი...

ჰოდა, ახლა მაინც მოუხმე ჭკუას, მიშა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ ყოფა

# არჩევნებმა ვაჭრობა და ბიზნესი „გადაყლაპა“

**მოქალაქეების ნაწილი არჩევნების შემდეგ ფასების ზრდას წინასწარმეტყველებს და ამიტომ, ზოგიერთ პროდუქტს წინასწარ იმარაგებენ. ისინი ფიქრობენ, რომ, შესაძლოა, პროდუქტების ფასი იგივე დარჩეს, მაგრამ წაგებულები მაინც არ იქნებიან. ფასების შემცირება ხომ საქართველოსთვის უჩვეულო და არადამახასიათებელი ფაქტია. ზოგიერთი კი იმდენად არის პოლიტიკაში გადაშვებული, რომ არაფრის გაგონება (მით უფრო ყოფითი საკითხების მოგვარებისა) არ სურს.**

წინასაარჩევნო პერიოდში საკმაოდ მომგებიანია ტარიფებზე ყურადღების გამახვილება. ზოგიერთი ადამიანი მიიჩნევს, რომ თუ ის პარტია ვერ გაიმარჯვებს, რომელიც ტარიფების შემცირებას გვპირდება, კომუნალური გადასახადები უფრო მეტად გაიზრდება. შესაბამისად, ყოველთვიურად უფრო მეტი ფული იქნება საჭირო. კომუნალური მოსახურების მომარაგება შეუძლებელია, მაგრამ თანხების დაზოგვა სხვა მიმართულებით შეიძლება, ხოლო დანაზოგი კი მომატებული ტარიფების დასაფარად შეიძლება მიმართო.

თუმცა, ჯერჯერობით ხალხი იმდენად არის პოლიტიკით აღტკინებული, რომ სხვა არაფრის თავი არ აქვს. არც მარაგები ახსოვთ და არც დანაზოგები. უცნაურია, მაგრამ უშუალოდ არჩევნების წინ მომხმარებელი გადამეტებულად პასიურიც კი იყო.

**სამომხმარებლო ბაზრებში და სავაჭრო ქსელებში ამბობენ, რომ ბოლო 3-4 დღეა, რაც რეალიზაცია შემცირდა. სავაჭრო სექტორის წარმომადგენლები მომხმარებლის პასიურობას მოსახლეობის ზედმეტად პოლიტიზებას მიაწერენ და ფიქრობენ, რომ მათი ყურადღება მთლიანად საარჩევნო პროცესებისკენ არის მიმართული.**

**„მართალია, წლეულს მეტი დაძაბულობაა, მაგრამ მთავარი იმდენად მაღალია პოლიტიკით დაინტერესება, რომ მყიდველი სხვა პრობლემებით ნაკლებად ინტერესდება. საბითუმო ბაზრობაც კი, რომელიც მთელი გასული კვირების განმავლობაში აქტიური იყო, რეალიზაციის კლებას უჩივის. ამ ქსელში ჩემი მეგობრები მუშაობენ და ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდნენ.**

**ასეთი ცარიელი ჩვენი ბაზარი დიდი ხანია, არ ყოფილა. დაძაბულობა წინასაარჩევნოდაც იყო, მაგრამ მაშინ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვქონდა. ხალხი მარაგების შეძენასაც ცდილობდა, რაც ამ პერიოდში არ შეიმჩნევა“,** – ამბობს მოვაჭრე.

მომხმარებლის დეფიციტი კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა საყოფაცხოვრებო და ელექტროტექნიკის სექტორში.

**„ბოლო 1 კვირაა, რეალიზაციამ იკლო და არჩევნების წინა დღეს საერთოდაც შეჩერდა. 1-ელ ოქტომბერს ვისვენებდით, მაღაზიის გახსნას აზრი არ ჰქონდა. უკვე 2 ოქტომბრიდან მუშაობას ვაგრძელებთ. ეს დროებითი მოვლენაა.**

**იმედია, ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა არ იქნება და ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის. ცხადია, სავაჭრო სექტორიც აღიდგენს დაკარგულს. დღეს ტექნიკაზე იმდენადაა მოთხოვნა გაზრდილი, რომ მომხმარებლის აქტიურობა, ძალიან სერიოზული მიზეზი თუ არ გაჩნდა, არ შემცირდება. ასე რომ, ჯერაც იმედიანად ვარ განწყობილი“,** – ამბობს გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე ტექნიკის მაღაზიის დირექტორი.

**ეკა ბაქრაძე**

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

**„ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის ჩაშლილად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 03 ოქტომბრის №13/487 ბრძანების საფუძველზე შემდეგ ობიექტზე აუქციონი გამოცხადდა ჩაშლილად და შესაბამისად შეწყდა განცხადებების მიღება.**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 6150 | 3075 | 3075 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 640 | 320 | 320 | | | |
| | | | | | | [illegible] | 60 | 30 | 30 | | | |
| | | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 2040 | 1020 | 1020 | | | |
| | | | | | | [illegible] | 60 | 30 | 30 | | | |
| | | | | | | [illegible] | 1800 | 1260 | 540 | | | |
| | | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 900 | 450 | 450 | | | |
| | | | | | | [illegible] | 2500 | 1750 | 750 | | | |

# ყვარელში ამომრჩევლები გაყალბებული პირადობის მოწმობებით აძლევდნენ ხმას



**არსებობს ფაქტები, რომელთა დამტკიცების შემთხვევაში შესაძლოა, ზუგდიდში არჩევნები საერთოდ ჩაშლილად გამოცხადდეს. ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი დავით საგანელიძე აცხადებს. მისივე თქმით, დავები არის მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით ყვარლის, ხაშურის, ქედის, წყალტუბოს და დედოფლისწყაროს ოლქებში.**

**„თუმცა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სადაო რაიონების ოლქების ნაწილში დადებითად გადაწყდება ჩვენი საქმე“,** — განაცხადა საგანელიძემ.

ერთ-ერთი ოლქი, სადაც მისი თქმით, სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა, ყვარლის რაიონია. **For.ge** ყვარლის რაიონში „ქართული ოცნების“ მაჟორიტაროზის კანდიდატს დავით ქევხიშვილს არსებულ ვითარებაზე ესაუბრა.

დავით ქევხიშვილი: **„რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ამომრჩევლებს აშკარად აიძულებდნენ, ხუთიანი შემოეხაზათ და მობილური ტელეფონით ბიულეტენისთვის სურათი გადაეღოთ. ასეთი ფაქტები ჩვენ ვიდეო-ფირზეც აღვბეჭდეთ. იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლები სხვა პასპორტით აძლევდნენ ხმას, კერძოდ, მათი სახელი და გვარი პასპორტში მითითებულს ემთხვეოდა, მაგრამ სხვა პირადი ნომერი იყო მითითებული. ამასთანავე, იყო კარუსელებიც, განსაკუთრებით აქტიურად ეს ყვარელსა და შილდაში ხდებოდა. ახლა ჩვენ საარჩევნო უბნებზე გაკეთებულ ვიდეოჩანაწერებს ვაანალიზებთ და უახლოეს ერთ დღეში, ალბათ, იმ პირების იდენტიფიკაციას მოვახდენთ, ვინც ამაში მონაწილეობდა. გარდა ამისა, არჩევნების დღეს არა, მაგრამ წინა ღამეს იყო ამომრჩევლის მოსყიდვაც. ახლა ჩვენ ვაზუსტებთ, ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც ამომრჩეველს ფულს ურიგებდა.**

**— თქვენ საუბრობთ ამომრჩეველზე ზეწოლასა და კარუსელებზე, თუ გაქვთ ინფორმაცია, ასეთი ფაქტები მასობრივად ხდებოდა, თუ ეს გამონაკლისი შემთხვევები იყო?**

— ჯერჯერობით, ასეთი შემთხვევები სამ უბანზე დავაფიქსირეთ და ეს იმის ნიშანია, რომ ხმის მიცემა ამ ფონზე მიმდინარეობდა. ბუნებრივია, ყველა შემთხვევას ვერ დავაფიქსირებთ, მაგრამ რაზეც ინფორმაცია მოგვივიდა, ყველა ფაქტი დავაფიქსირეთ. ჩვენმა დამკვირვებლებმა ერთ-ერთ ამომრჩეველს მობილური ტელეფონიც კი წაართვეს, რომლითაც ხუთიანშემოხაზული ბიულეტენი იყო გადაღებული.

**— ამგვარი ზეწოლა საჯარო მოხელეებზე ხორციელდებოდა, თუ რიგით ამომრჩეველზეც?**

— ზეწოლა ხორციელდებოდა ყველაზე, ვისზეც კი ხელისუფლებას რაიმე სახით გავლენის მოხდენა შეეძლო. ზოგს საჯარო სამსახურიდან დათხოვნით, ზოგს სოციალური დახმარების მოხსნით ემუქრებოდნენ და ა.შ.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყვარელში წინასაარჩევნო პერიოდშიც იყო სერიოზული დარღვევები. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?**

— დიახ, საარჩევნო პერიოდი ძალიან მძიმე იყო, რადგან ხალხის მასობრივი დაშინება ხდებოდა. მაგალითად, ვისაც სატელიტური თეფშები ჰქონდა სახლში, ანუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მეტი ინფორმაცია ჰქონდა და ამ ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელება შეეძლო, ასეთ ადამიანებზე განსაკუთრებული ზეწოლა ხორციელდებოდა. გარდა ამისა, დაშინების უამრავი მეთოდი და ფორმა არსებობს და ყველა ეს მეთოდი იყო გამოყენებული. ძირითადად საჯარო სამსახურებში დასაქმებულ ადამიანებზე ხდებოდა ზეწოლა. არსებობს ფაქტები (ვიდეოფირზე აღბეჭდილიძ, როდესაც ამ ზეწოლის შედეგად პედაგოგები ხალხში დადიოდნენ და არჩევნების დღესაც კი აგიტაციას ეწეოდნენ.

**— რამდენი უბანია ყვარლის ოლქში სადავო?**

— კარუსელებს რაც შეეხება, ეს ყველაზე მეტად ყვარელსა და შილდაში ხდებოდა. გარდა ამისა, ძალიან ბევრ უბანთან იდგა მიკროავტობუსები, რომლებსაც ფანჯრებზე ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული და სადაც 15-მდე ადამიანი იჯდა. ჩვენ ახლა ვაანალიზებთ ვიდეომასალებს და გავარკვევთ, ეს ადამიანები კარუსელებში მონაწილეობდნენ თუ ამომრჩევლის მოსყიდვას ახდენდნენ.

**— თქვენ ამომრჩევლის მოსყიდვა ახსენეთ და გაქვთ კონკრეტული ფაქტები?**

— რა თქმა უნდა, კონკრეტული ფაქტები არსებობს. მართალია, ძირითადად ამაზე საუბარს ადამიანები ერიდებიან, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უახლოეს დღეებში ამასთან დაკავშირებითაც გვექნება გარკვეული მტკიცებულებები.

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, ამომრჩეველს ფულს სთავაზობდნენ, საკვებ პროდუქტებს თუ რაიმე სხვას?**

— წინასაარჩევნო პერიოდში რომ ადმინისტრაციული რესურსი აქტიურად იყო გამოყენებული, ეს ფაქტია. მაგალითად, იმ სოფლებში, რომლებიც დაისეტყვა, მოსახლეობას ღვინოს ურიგებდნენ და ეს ფაქტებიც დაფიქსირებული გვაქვს. მართალია, ამას თითქოს იმ მოტივით აკეთებდნენ, რომ სტიქიით დაზარალებულებს ეხმარებოდნენ, მაგრამ ეს უშუალოდ არჩევნების წინა დღეს ხდებოდა. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია, რომ სოფელ კუჭატანში თითქმის ყველას დაურიგეს ღვინო, თუ არ ვცდები 80 ლიტრზეა საუბარი.

გარდა ამისა, საუბარია ამომრჩევლისთვის ფულის გადაცემაზეც, რასთან დაკავშირებითაც უახლოეს პერიოდში მტკიცებულებებს დავდებთ.

**რუსიკო უშიკიშვილი**

# ამომრჩევლის მოსყიდვას აჭარის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე კურირებდა

**„ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ არსებობს რამდენიმე სადავო უბანი, რომლის შედეგების გასაჩივრებასაც აპირებენ. მათ შორის არის დედოფლისწყაროს და ქედის უბნები. დედოფლისწყაროში „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატობის კანდიდატად ალექსანდრე თამაზაშვილი არის წარდგენილი, ქედაში კი — დავით ანანიძე. For.ge სადავო უბნებზე არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით ორივე მათგანს ესაუბრა.**

ალექსანდრე თამაზაშვილი მის ოლქში სერიოზულ დარღვევებზე საუბრობს და ამბობს, რომ სადავო უბნები აუცილებლად გასაჩივრდება. მისი თქმით, დედოფლისწყაროში ხელისუფლებამ გაყალბების ყველანაირი მექანიზმი გამოიყენა, მათ შორის — კარუსელები, ასევე ე.წ. სომხური კარუსელები, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველზე ზეწოლა, ბალანსის ვერდასმა, იმ ბიულეტენების უსაფუძვლოდ გაბათილება, რომლებშიც 41 იყო შემოხაზული და ა.შ. ამიტომ, თამაზაშვილი ამბობს, რომ ამ უბნების გასაბათილებლად უამრავი სერიოზული საფუძველი არსებობს. მისი თქმით, დედოფლისწყაროში სულ 23 უბანია, საიდანაც „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით, სამ უბანს ასაჩივრებს. აღსანიშნავია, რომ ამ სამიდან თამაზაშვილს ორი მოგებული აქვს, მაგრამ ამბობს, რომ არსებობდა გათვლები, რომელთა თანახმადაც მას ეს უბნები გაცილებით უფრო მეტი უპირატესობით უნდა მოეგო, ეს ხელისუფლებისთვისაც ცნობილი იყო და ამიტომ იქ სერიოზული გაყალბება მოხდა. სწორედ ამიტომ თამაზაშვილი ამ მოგებულ უბნებსაც ასაჩივრებს.

**„მოსახლეობისგან გვაქვს ინფორმაცია, რომ უბნებზე უამრავი დარღვევა იყო. ახლა ჩვენ არჩევნების დღეს უბნებზე გაკეთებულ ვიდეოჩანაწერებს ვამოწმებთ, რათა დარღვევის ყველა ფაქტი დავაფიქსიროთ. გვაქვს ინფორმაცია, რომ არა მხოლოდ „სომხური“, არამედ ჩვეულებრივი კარუსელებიც იყო, მათ შორის ამ კარუსელებში სასაზღვრო ჯარის სამხედროები მონაწილეობდნენ“,** — აცხადებს თამაზაშვილი.

მისი თქმით, ამჟამად ჯერ სამი უბანია გასაჩივრებული, მაგრამ ვიდეომასალის გაანალიზების შემდეგ იგი ვარაუდობს, რომ კიდევ სხვა უბნებიც გასაჩივრდება.

„ქართული ოცნების“ ქედის მაჟორიტაროზის კანდიდატი დავით ანანიძე კი **for.ge**-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ არა ცალკეული უბნები, არამედ ქედის მთლიანი ოლქი სადავოა, რადგან, მისი თქმით, ქედის ოლქში არჩევნებზე ამომრჩევლის მასობრივ მოსყიდვას ჰქონდა ადგილი.



**„ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა მოხდა. გვაქვს ვიდეოჩანაწერები, სადაც ამომრჩევლები ღიად აფიქსირებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა მათ ხმის სანაცვლოდ კონკრეტული თანხები მისცეს. ერთ-ერთი უბნიდან ახლა ველოდები მთელს სიას, რამდენ ადამიანს გადაეცა თანხა. ასეთი ფაქტები მთელი ოლქის მასშტაბით დაფიქსირდა, ანუ ამომრჩევლის მასობრივი მოსყიდვა განხორციელდა. ამიტომაც, ჩვენ ამ მასალებს შევკრებთ და მთლიანი ოლქის გაბათილებას მოვითხოვთ“,** — აცხადებს დავით ანანიძე.

მისი თქმით, ადგილობრივი პოლიციის მაღალჩინოსნები ამომრჩევლის მოსყიდვაში „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს და ამის დასამტკიცებლად ამომრჩევლის დაშინებას ცდილობს. ანანიძის განცხადებით, ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები ჯერ იმ როლიდან ვერ გამოვიდნენ, როდესაც ისინი ხალხს აშინებდნენ და ფიქრობენ, რომ ახლაც შეძლებენ იგივეს გაკეთებას. დავით ანანიძე აცხადებს, რომ ქედაში ამომრჩევლის მოსყიდვას აჭარის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ედნარ აბულაძე ხელმძღვანელობდა და აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტაროზის კანდიდატს ქედის რაიონში ნოდარ ძნელაძეს პირადად ემუქრებოდა.

დავით ანანიძე ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ქედაში ამომრჩეველს ხმის სანაცვლოდ 100, 200 ან 300 ლარს სთავაზობდნენ, ხოლო ქედაში „ქართული ოცნების“ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს 8000 ლარი შესთავაზეს იმის სანაცვლოდ, რომ მას დარღვევებზე თვალი დაეხუჭა.

**Forge** აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატ ნოდარ ძნელაძესაც ესაუბრა. ძნელაძე აცხადებს, რომ აჭარის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ედნარ აბულაძე ამომრჩევლებს ფულს პირადად ურიგებდა და ამაში მას ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი იურისტი ეხმარებოდა. ნოდარ ძნელაძის განცხადებით, ეს ადამიანები ქედის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში არჩევნების წინა საღამოს, დაახლოებით 20.00 საათზე მივიდნენ, შენობაში ჩაიკეტნენ და დილამდე იქ დარჩნენ. როდესაც ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა გაიგეს, ისინი ადგილზე „ინფო9“-ს და ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ჟურნალისტებთან ერთად მივიდნენ.

**„ედნარ აბულაძე და ეს იურისტი, რომლის ვინაობაც ახლა არ მახსოვს, აცხადებდნენ, რომ თითქოს საარჩევნო უბნის შენობაში მუშაობდნენ, თუმცა არ ვიცი მთელი ღამის განმავლობაში რა სამუშაო უნდა შეესრულებინათ მათ იქ. თავიდან მათ კატეგორიულად უარჰყვეს ამომრჩევლისთვის ფულის გადაცემა, მაგრამ შემდეგ ჩვენ მათთან შევუშვით ჩვენი ერთ-ერთი აქტივისტი, რომელიც აბულაძის მეგობარია, მათ ერთი ერთზე ისაუბრეს და ედნარ აბულაძემ აღიარა, რომ იმ უბანზე მთელი ღამის განმავლობაში ფული რიგდებოდა, მაგრამ განაცხადა, მე ამაში არ ვმონაწილეობდიო. აღსანიშნავია, რომ როდესაც მას ეს ჩვენი აქტივისტი ესაუბრებოდა, იმ ოთახში კი მარტოები იყვნენ, მაგრამ ჩვენ კარი ოდნავ გაღებული დავტოვეთ და „მეცხრე არხის“ ჟურნალისტმა მიკროფონი კართან მიიტანა და აბულაძის აღიარება ჩაიწერა“,** — ამბობს ნოდარ ძნელაძე.

მისი თქმით, ედნარ აბულაძესაც და საოლქო საარჩევნო კომისიის იურისტსაც, რომელიც მას ახლდა, აშკარად ეტყობოდათ, რომ შარვლის ყველა ჯიბეში ბევრი ფული ჰქონდათ. ნოდარ ძნელაძე აცხადებს, რომ მას საპატრულო პოლიცია ჰყავდა გამოძახებული, რათა ეს უკანონობა დაეფიქსირებინათ, მაგრამ პოლიცია ადგილზე მხოლოდ იმის შემდეგ მივიდა, რაც საარჩევნო უბანი ედნარ აბულაძემ დატოვა. ამიტომ ნოდარ ძნელაძე აცხადებს, რომ ქართული პოლიცია და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები სინქრონში მუშაობდნენ. მისი თქმით, მანაც და დავით ანანიძემაც „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატებს მოუგეს, მაგრამ ქედაში კარუსელები დატრიალდა და „ქართული ოცნების“ კანდიდატებს ნაკლები ხმები დაუწერეს. ამიტომ, ანანიძე და ძნელაძე ქედის ოლქს ასაჩივრებენ.

**„მეც და დავით ანანიძესაც ხმების ზუსტად ერთი და იგივე ოდენობით გვიგებენ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები. აღსანიშნავია, რომ ბიულეტენების ოთხივე შეკვრას პირველი ნომრები აკლია. ეს უკვე იმას მოწმობს, რომ კარუსელები დატრიალდა. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, მაჟორიტარულ ოლქებს ჩვენ მოვიგებთო, ქედაში სწორედ ამაზე დაიწყეს მუშაობა. პრეზიდენტის განცხადება მათ მითითებად მიიღეს და შედეგები გააყალბეს“,** — ამბობს ნოდარ ძნელაძე.

**ნინო ჟღენტი**

აქტუალური ინტერვიუ



## ჰილარი კლინტონმა პირველ ოქტომბერს ისტორიული დღე უწოდა

ამერიკის შეერთებული შტატები ულოცავს საქართველოს მოქალაქეებს პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მშვიდობიან და აქტიურ მონაწილეობას, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე გამოქვეყნდა.

როგორც ჰილარი კლინტონი მიიჩნევს, ეს ისტორიული დღეა ყველა ქართველისთვის და საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის.

— მხარს ვუჭერთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისიას და მის შეფასებას იმის თაობაზე, რომ ქართველმა ხალხმა თავისუფლად დააფიქსირა საკუთარი ნება საარჩევნო ყუთებთან. ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ხმების საბოლოო დათვლა და საჩივრების განხილვა აწარმოოს გამჭვირვალედ და კანონის შესაბამისად, — აცხადებს ჰილარი კლინტონი.

როგორც კლინტონმა აღნიშნა, ახლა, როცა ქართველმა ხალხმა უკვე თქვა თავისი სათქმელი, შეერთებული შტატები ყველა პარტიას ახალ პარლამენტში კონსტრუქციული თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს, საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების საკეთილდღეოდ.

— ჩვენ მოუთმენლად ველით ახალ პარლამენტთან და, აგრეთვე, ახალ კაბინეტთან და საქართველოს პრეზიდენტთან თანამშრომლობას ჩვენი ძლიერი ურთიერთობების კიდევ უფრო გასამყარებლად და საქართველოს ხალხისათვის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად, — აცხადებს ჰილარი კლინტონი.

## თეთრი სახლი გვილოცავს

ამერიკის შეერთებული შტატები ქართველ ხალხს ულოცავს საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულებას და კიდევ ერთ მიღწევას დემოკრატიული განვითარების გზაზე, — ამის შესახებ ნათქვამია თეთრი სახლის პრესმდივნის განცხადებაში.

განცხადების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებმა რეგიონს უჩვენეს მაგალითი კონკურენტული საარჩევნო კამპანიის ჩატარებით, საკუთარი დემოკრატიული უფლებების თავისუფლად განხორციელებითა და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემით.

— ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ჩათვლით, წვლილი შეიტანეს გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფაში. იმის მიუხედავად, რომ საბოლოო შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, ეს არჩევნები შეიძლება ქართული დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩაითვალოს. მომავალი დღეებისა და თვეების განმავლობაში სამუშაო ბევრია. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ბიძინა ივანიშვილმა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებმა და საქართველოს ახალმა პარლამენტმა უნდა იმუშაონ ერთად ეროვნული ერთობის სულისკვეთებით, რათა გარანტირებული იყოს შემდგომი პროგრესი დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების გზაზე, ქართველი ხალხისა და რეგიონის საკეთილდღეოდ. ამერიკის შეერთებული შტატები ქართველების გვერდით დგას და მიესალმება ამ ისტორიულ არჩევნებს. პრეზიდენტი ობამა და მისი ადმინისტრაცია მოუთმენლად ელოდება საქართველოსთან ახლო თანამშრომლობისა და ორმხრივი მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელებას, — აღნიშნულია თეთრი სახლის განცხადებაში.

## ქეთრინ ეშტონი და შტეფან ფულე თითოეულ დელეგატს მოუწოდებენ, ერთად იღვაწონ საქართველოს ინტერესებისთვის

ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ბარონესა ქეთრინ ეშტონმა და გაფართოების კომისარმა შტეფან ფულემ ერთობლივ განაცხადში დადებითად შეაფასეს საქართველოს საპარლამენტო არჩევნები და მისი შედეგები. „ევროკავშირი ულოცავს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვებას. ქართველმა ხალხმა თქვა თავისი სათქმელი. როგორც პასუხისმგებელი მთავრობა, ისე კონსტრუქციული ოპოზიცია წარმოადგენენ ფუნქციონირებადი დემოკრატიული საზოგადოების განუყრელ ნაწილს. ჩვენ მოვუწოდებთ ახალ პარლამენტში არჩეულ თითოეულ დელეგატს, ერთად იღვაწონ საქართველოს ინტერესებისთვის.



პირველი ოქტომბრის გამართული არჩევნების ზოგადი პოზიტიური ხასიათი და ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საქართველო მის მიერ არჩეული დემოკრატიული კურსის ერთგული რჩება.

— ჩვენ სრულებით ვითვალისწინებთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ბიუროს მიერ საქართველოში ჩატარებული არჩევნების შეფასებას, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს იყო დემოკრატიული არჩევნები, სადაც ადამიანთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ სათანადო პატივისცემა გამოვლინდა, — ნათქვამია ეშტონისა და ფულეს ერთობლივ განცხადებაში.

ამასთან, კომენტარი გააკეთა ქეთრინ ეშტონის სპიკერმა მაია კოსიანჩიჩმა. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირი გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოსთან და განზრახული აქვს, განაგრძოს საქართველოსთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების კურსი.

## საქართველოში ჩატარებული არჩევნები პროგრესული ნაბიჯია



ევროპარლამენტის დამკვირვებლები საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს პროგრესულ ნაბიჯად აფასებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ხმის მიცემის პროცესში გარკვეული ხარვეზებიც გამოვლინდა. ამის შესახებ ევროპარლამენტის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მილან ჩებრნოხის განცხადებაშია აღნიშნული, რომელიც ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

— მიღწეული პროგრესი განსაკუთრებით გამოვლინდა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებებისადმი სათანადო პატივისცემაში, რამაც განაპირობა ამომრჩევლის აქტიური მონაწილეობა და პოლარიზებული, მაგრამ კონკურენტუნარიანი საარჩევნო კამპანიების ჩატარება, — განაცხადა მილან ჩებრნოხმა.

მისი თქმით, საქართველო ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. — ჩვენ ვიმედოვნებთ რომ პარლამენტის წევრები, იქნებიან ისინი ოპოზიციისა თუ მთავრობის წევრები, ჯეროვნად გამოიყენებენ თავიანთ პრივილეგიას და გააგრძელებენ დემოკრატიისა და რეფორმების გზას, — განაცხადა ჩებრნოხმა.

## საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკურ სიბრტყეში სიტუაცია არ შეიცვლება

რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რიგ ექსპერტთა აზრით, ვლადიმერ პუტინის მიხეილ სააკაშვილისადმი პირადი მიუღებლობის ფაქტორის გამორიცხვის შემდეგ შესაძლოა, იმედი ვიქონიოთ სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა, თუმცა, მთავარი მაინც არის ის, რომ პოლიტიკურ სიბრტყეში სიტუაცია არ შეიცვლება.

— იმიტომ რომ, არც ერთი ქართველი ლიდერი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებს უარი თქვას პრეტენზიებზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, მისთვის ეს პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება, — აცხადებს რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის ხელმძღვანელი სერგეი მიხეევი.

ამას გარდა, რუსეთის წინა მოწვევის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ სემიონ ბაღდასაროვმა გამოთქვა აზრი, რომ „თუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით კომპრომისი მიღწეული არ იქნება, მაშინ ბატონ ივანიშვილს გარემოცვის გავლენის გამო ძალიან გაუჭირდება რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება“.

ამავე აზრზეა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ ოზეროვი: საქართველოსათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება პოლიტიკურ გვამად გახდომის ტოლფასია, — აცხადებს ოზეროვი

ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესი



## დედამიწის ზურგზე



ყირგიზეთის მშვიდობიანი მიტინგი პარლამენტისა და პრეზიდენტის რეზიდენციის შტურმით დამთავრდა

ბიშკეკში სამშვიდობო აქციის მონაწილეებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ოქროს საბადოების ნაციონალიზაციას, ორი საათის შემდეგ შეუტიეს თეთრ სახლს. დაახლოებით 50 კაცი დეპუტატის მეთაურობით გაიჭრა დაცული ობიექტისკენ. პოლიციამ დაიწყო სროლა და გამოიყენა ცრემლსადენი გაზი, არიან დაჭრილები და დაკავებულები.

* * *

ეუთოს ყველაზე მკაცრი რეზოლუცია უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში — ეს გამარჯვებაა, გადაწყვიტეს რუსეთში. პიროსის გამარჯვება — განმარტეს ევროპაში



რუსეთის დელეგაციამ გაიხარა ევროსაბჭოს მინისტრების კომიტეტისთვის რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებული მონიტორინგის გადაცემაზე ეუთოს უარის თქმის გამო. სტატუსის შესაბამისად ეს იქნებოდა არასასიამოვნო, განმარტავენ ექსპერტები. „ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი ავტორიტეტი ეუთოში“, — ზეიმობდნენ რუსი დელეგატები. ევროპელმა კოლეგებმა კი აღიარეს, რომ „ხმაურის ქვეშ“ მაინც გააკეთებენ ყველაფერს, რაც დასახული იყო.

* * *

ჰონკონგში გემების შეტაკების შემდეგ, რასაც 37 კაცის დაღუპვა მოჰყვა, დააპატიმრეს 6 კაცი



ჯერჯერობით პოლიცია ამოწმებს ორივე ხომალდის ეკიპაჟის მოქმედებას, რომლებიც ერთმანეთს შეეჯახნენ კუნძულ ლამასთან 1 ოქტომბერს. მაშველები კვლავ ეძებენ დაკარგულებს, რომელთა შორისაც არიან ბავშვებიც. არ არის გამორიცხული, რომ ნახევრად ჩაძირულ ხომალდზე არიან მგზავრები, რომლებსაც არ შეუძლიათ იქიდან გამოსვლა. ბევრი გადარჩენილი დაზარალდა გაცივების გამო. ტრაგედია ჩინეთის ეროვნული დღესასწაულის შუა პერიოდში მოხდა.

* * *

გაიხსნა „მსოფლიოში საუკეთესო ფოტობომბის“ საიდუმლო: სკაროსთან ჩახვეული ამერიკელი ქალიშვილები საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ იქცნენ ინტერნეტ მამებად

სამი ამერიკელი გოგონას ფოტოგრაფიამ, რომლების მხრებზეც მოულოდნელად სკაროსი (ზღვის თევზების ერთგვარი სახეობაა) აღმოჩნდა, ააფეთქა ინტერნეტი გასულ კვირას და ქალიშვილები ერთ საათში სახელგანთქმულებად იქცნენ. ახლა ისინი იძლევიან ინტერვიუს და საუბრობენ იმის შესახებ, რომ მათგან იღებენ ავტოგრაფებს და ადარებენ ჯასტინ ბიბერს.



**არჩევნები ნაციონალურად**

# 30 ლარად გაყიდული ბიულეტენები

**ცესკოს ბოლო მონაცემებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები 38 მაჟორიტარულ ოლქში ლიდერობენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები კი – 33 ოლქში.**

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადებით, არსებობს უტყუარი ფაქტები, რომლის დამტკიცების შემთხვევაში, შესაძლოა, რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების შედეგები შეიცვალოს. საგანელიძის მიერ დასახელებულ ოლქებში შედის წყალტუბოს საარჩევნო ოლქიც, სადაც უამრავი დარღვევა დაფიქსირდა.

წყალტუბოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ **პაატა ზაქარეიშვილს** ვთხოვეთ იმ დარღვევებზე ესაუბრა, რომელიც აღირიცხა და რომლის გასაჩივრებასაც აპირებს.

**– ბატონო პაატა, ძირითადად რა სახის დარღვევებზეა საუბარი?**

– იყო დარღვევების ფაქტები, ზოგი ექვემდებარება გასაჩივრებას, ზოგი – არა. ძალიან კონკრეტულად არ მინდა საუბარი, რადგან შესაძლოა, მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ დროზე ადრე გაჟონოს და გარკვეული ხელმოსაჭიდი მასალები დაიკარგოს.

**– სხვა რეგიონებში მაჟორიტარობის კანდიდატები საუბრობენ მოსახლეობისთვის ფულის დარიგების ფაქტებზე, წყალტუბოშიც ხომ არ ხდებოდა ანალოგიური რამ?**

– მასობრივი ხასიათი ჰქონდა ფულის დარიგებას და ეს ხდებოდა საჯაროდ. პირდაპირ ავტობუსებიდან და მიკროავტობუსებიდან საარჩევნო უბნიდან გამოსულ მოსახლეობას ურიგებდნენ ფულს. დაბევებული ამომრჩეველი, რომელიც გარანტირებულად მათ სასარგებლოდ აძლევდა ხმას, შემდეგ მათთან მიდიოდა და თანხას იღებდა. იყო ფაქტები, როდესაც თანხები პირდაპირ საარჩევნო უბნების წინ



მდგარი მიკროავტობუსებიდან რიგდებოდა.

**– თითო ხმა რა ღირდა, არ გაქვთ ინფორმაცია?**

– სხვადასხვა თანხას ასახელებენ, ზოგი 30 ლარს ამბობს ზოგი 50-ს ზოგი კი 100 ლარსაც ამბობს. როგორც ჩანს 30-40 ლარის ფარგლებში ტრიალებდა ეს ყველაფერი.

**– თუ გარანტირებული ხმები გამოჰქონდათ, ეს ნიშნავს, რომ ე.წ. სომხური კარუსელი დატრიალებულა და სავარაუდოდ, საარჩევნო უბნიდან გამოტანილ ცარიელ ბიულეტენებს ყიდდნენ ამ თანხად...**

– როგორც ჩანს, ასეც იყო, რადგან საარჩევნო უბნებიდან გამოსულები ეგრევე სხდებოდნენ ავტომანქანებში და გარკვეული პერიოდის შემდეგ გადმოდიოდნენ უკან. ახლა მთავარია, ამ ყველაფერს სამართლებრივი ძალა მიეცეს.

**– რაც შეეხება ჩვეულებრივ კარუსელს, ანუ ერთი და იგივე ხალხი თუ აძლევდა ხმას?**

– ნაკლებად, უფრო ფულზე იყო აქცენტი. წყალტუბოს რაიონის სოფლებში შეუძლებელია კარუსელის დატრიალება, რადგან აქ ყველა ერთმანეთს იცნობს.

**– თვითონ მოსახლეობის აქტივობა როგორი იყო?**

– საკმაოდ მაღალი წყალტუბოს კვალობაზე.

**– რაც შეეხება ადმინისტრაციულ ბერკეტებს, მოსახლეობის დაშინების მცდელობები თუ შეინიშნებოდა?**

– მე წერილიც კი გამოვაქვეყნე იმის შესახებ, რომ პოლიციამ დაურეკა 30 სექტემბერს ჩვენს კოორდინატორებს და სამშაბათს პოლიციაში იბარებდნენ, იმ მიზეზით, რომ თითქოს მათ „ქართული ოცნებისგან“ აღებული ჰქონდათ 250-250 ლარი. ეს იყო აშკარად ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რადგან არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ფული აღებული.

„ნაციონალური მოძრაობა“ კი არა, პოლიცია ურეკავდა მათ და ეს იყო გამიზნულად გადადგმული ნაბიჯები, რათა არჩევნების დღეს იმაზე ეფიქრათ, მეორე დღეს რა მოხდებოდა პოლიციაში. ეს იყო ტიპიური, კლასიკური გამოვლენა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა, როდესაც პოლიცია უტიფრად ჩაერია საარჩევნო პროცესში.

**– მეორე დღეს თუ გამოცხადდნენ ისინი პოლიციაში და რა უთხრეს?**

– მივიდნენ პოლიციაში და არაფერი არ ყოფილა. ერთი, რომ ეს იყო მათი დაშინების მცდელობა არჩევნების წინ, მაგრამ რაკი „ოცნებამ“ გაიმარჯვა, ამ გეგმამ უკვე დაკარგა ძალა. „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ გაემარჯვა, ალბათ, მაშინ უკვე სხვანაირად დაელაპარაკებოდნენ.

**მარიამ თოდაძე**

**წერილი რედაქციას**

# გამაოცა გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ ვირეშმაკობამ!

პატივცემულო რედაქცია, მინდა გიამბოთ გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ ვირეშმაკობის შესახებ.

გასულ სამშაბათს, 25 სექტემბერს, ბინაზე დამირეკა სასიამოვნო ხმის ქალიშვილმა და გამეცნო როგორც გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ კორესპონდენტი (სამწუხაროდ, ველარ ვიხსენებ ვერც სახელს და ვერც გვარს). მითხრა, რომ გაზეთი დაინტერესებულია მეცნიერთა მოსაზრებებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მთხოვა მიმეცა ინტერვიუ რუბრიკისთვის „რას ფიქრობს ხალხი“. შევთანხმდით, რომ მეორე დღეს დამირეკავდა და აიღებდა ჩემგან მოკლე სატელეფონო ინტერვიუს. მართლაც დამირეკა ოთხშაბათს და მთხოვა ჩემი მოსაზრების ჩაწერა.

ჩემი ინტერვიუს შინაარსი წინდაწინ მოვამზადე და ვუკარნახე:

„შემძრა ტელევიზიით გადმოცემულმა კადრებმა პატიმართა წამებისა და გაუპატიურების შესახებ, შეურაცხყოფილია მთელი საქართველო. ხელისუფლებას უნდა შერცხვეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების, თავს არ უნდა იმართლებდეს.

ჩემი რჩევაა გადადგეს თავად პრეზიდენტი ხელისუფლებიდან, დასასჯელები სასტიკად დაისაჯონ, გაიწმინდოს „ნაციონალური მოძრაობა“ უმსგავსო პირებისაგან და, თუ მოინანიებენ ცოდვებს, მოემზადონ მომავალი არჩევნებისთვის 4 წლის შემდეგ.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება აპატიოს მათ ქართველმა ხალხმა ეს საშინელი დანაშაული“.

კორესპონდენტმა მადლობა გადამიხადა, დამემშვიდობა და მითხრა, რომ ჩემთან მოვიდოდა ფოტოგრაფი და გადამიღებდა სურათს, მასალა გამოქვეყნდებოდა გაზეთის 1 ოქტომბრის ნომერში.

არც ფოტოგრაფი მოსულა ჩემთან და არც ჩემი მოსაზრება არ გამოქვეყნებულა გაზეთში, რასაც მოწინასწარმეტყველებდნენ კიდეც ოჯახის წევრები: მეუღლე და ქალიშვილები.

რა თქმა უნდა, არ მწყენია, მაგრამ გამაოცა ერთმა გარემოებამ: გაზეთის მეორე და მესამე გვერდებზე გამოქვეყნებულია 18 რესპონდენტის მოკლე ინტერვიუები, 18 ქართველის შესანიშნავი ფოტოები, ულამაზესი ქალბატონებისა და ვაჟკაცი მამაკაცებისა. მათი მოსაზრებები ყველა ერთმანეთს გავს, თითქოს ერთი პიროვნების ნაწერი იყოს, თვრამეტივეს ეტყობა შიში ხელისუფლების მიმართ, რომელსაც ერთი უბრალო კრიტიკითაც არ მოიხსენიებენ.

საცოდავია ასეთი გაზეთი, აბა რა არის?

**მინდია სალუქვაძე**
აკადემიკოსი

**წიგნის თარო**

# კალმითა და ყალმით ნაწერი წიგნი

**წიგნის გამოცემის შემდეგ, მეორე დღესვე პრესაში გაჩნდება მისი „რეცენზია“. ამა და ამ გამომცემლობამ, ამა და ამ ავტორის წიგნი (თუ კრებული!) გამოსცა, რომელმაც მკითხველთა დიდი დაინტერესება გამოიწვიაო! არადა, ფაქტობრივად, წიგნი მკითხველთან ჯერ კიდევ არ „მისულა“ და, როცა „მივა“, როცა მას მკითხველი შეიგრძნობს, აი, მაშინ შეიძლება ითქვას მასზე არათუ, ორიოდე, არამედ „ათიოდე“ თუ, „ოციოდე“ სიტყვა! აქ საუბარი არა მაქვს მოკლე, კომერციული სახის უკომენტარო ინფორმაციაზე, რომელიც ფაქტს გვატყობინებს! აქ სულ სხვა რამეზე ვლაპარაკობ.**

ამიტომ ოდნავ შემაგვიანდა მეთქვა ბატონ მირონ ხერგიანის ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოცემულ წიგნზე, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ერთობ ღრმა შინაარსიანი ორი სათაური აქვს: – „ოქროს ჭედილა ანუ სვანური აზმანი“ და „მინდორში ნიავს გაკიდებულო...“




მადლობას მოვახსენებ მას ამგვარი, ორიგინალური ნაფიქრალის გამო, რომელიც მტერსაც კი, სიკეთით მოახედებს მისი ავტორისაკენ, რომელსაც ასე უყვარს და ელოლიავება წინაპართა მიწას, წინაპართა ცრემლსა და ოფლს!

წიგნის წარდგინება ამ ორიოდე თვის წინათ ჩატარდა გამომცემლობა „დიოგენის“ დარბაზში და, მართლაც, რომ სიყვარულის ოქროს ზოდებით ამავსო „ოქროს ჭედილამ“! მართალია, პრეზენტაციას, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ესწრებოდა წიგნის მთავარი რედაქტორი, ბატონი ერეკლე საღლიანი, მაგრამ მის წინასიტყვაობაშიც ნათლად ჩანდა მოწიწება და პატივისცემა, როგორც მწერალ მირონ ხერგიანის, ასევე, საერთოდ, ღირებული ქართული ლიტერატურისადმი.

იმ დღის სათქმელი სთქვა ამ წინასიტყვაობამ და მე თავს უფლებას არ მივცემ რაიმე ახალი დავამატო მას! მით უფრო, რომ ბატონი ერეკლეს სიტყვის მადლი და გულმართლობა კარგად მოეხსენება ქართველ მკითხველს:

– „...მირონ ხერგიანი!... კაცი საჩინო, „ლუთლე მარე“! – ამ სახელით სვანეთში ნათლავენ კაცს, რომელსაც საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას ანდობენ...“

– „...მირონ ხერგიანი, – კაცი, რომელსაც გონება გულის საზიანოდ არ გაუწრთვნია, პირიქით, გულის ძახილს მიჰყვება და ყოველთვის არის იქ, სადაც თავის თავს მოყვარის ტკივილების მტვირთველად მიიჩნევს!...“

– „ეს წიგნი ერთგვარი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიცაა. მოვლენა მოვლენას ცვლის. მკითხველი თვალს მიადევნებს იმ მზის სხივს, სარკმელში რომ შეიჭყიტა და აკვანში მწოლარე ბავშვს სახეზე მიელაციცა...“.

– „...ეს წიგნი მირონ ხერგიანის სამყაროა, სვანეთივით მიმნდობი, ვაჟკაცური, გულწრფელობით გამორჩეული და მრავალფეროვანი!... ძვირფასო თანამემამულეებო, მიაყურადეთ ბარად ჩამოსული ერთი მართალი კაცის გულისთქმას!...“.

მოგვიწოდებს წიგნის რედაქტორი და მეც ვუერთდები მის ამ მოწოდებას! მით უფრო, რომ მირონ ხერგიანის შემოქმედება მუდამ ხიბლავდა მკითხველს და მის კალამს არც ერთხელ არ გაცუდებია ნაფიქრალი. ჟანრობრივად მის ამ ნაშრომს შეიძლება ვუწოდოთ მხატვრული ნარკვევიც, დოკუმენტური მოთხრობაც და პოეტური ლექსთართვაც, და ეს იმიტომ კი არა, რომ პოეტური ნაფიქრალიც უხვადაა წარმოდგენილი, არამედ იმიტომ, რომ მირონ ხერგიანი ყველა ჟანრში ერთნაირად ლაღად გრძნობს თავს და, საერთოდ, მის წიგნებს დამღად ატყვია ეს ჟანრობრივი ჰარმონია!

მეც მინდა მივულოცო ბატონ მირონს შემოქმედებითი გამარჯვება და თუ, ზედმეტობად არ ჩამეთვლება, ამ ჟანრს მირონ ხერგიანის ჟანრი ვუწოდო!

თუმცა, არა მარტო მირონის, არამედ მისი ძის, გიგის ყალამმა და ფანქარმა ერთი-ორად გაამრავალფეროვნა, პეწი და შინაარსი შესძინა მამის კრებულს! თვითონ გიგის შემოქმედებამ კი, ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლებიდან აალაპარაკა ქართველ მხატვართა სამყარო და მის შემოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა! ახლა კი, მამის კალამს მისი ყალმით ნაწერმა მადლი შესძინა და ასე მგონია, მამა-შვილი ერთად ესხდნენ მაგიდას და გვთავაზობდნენ გულის ნადებს!

**ზაურ ფიფია**

**ინფორმაცია**

# „ქართული ოცნების“ აქტივისტები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ „ქართული ოცნების“ აქტივისტები – გოდერძი შონია და გიზო ცაცუა – დარბაზიდან გაათავისუფლა.**

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ფოთის აქტივისტები გოდერძი შონია და გიზო ცაცუა 22 სექტემბერს ფოთში, ახალ რაიონში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დააპატიმრეს.**

**ახალ რაიონში, ქართული ოცნების მხარდამჭერები ემზადებოდნენ აქციაზე წასასვლელად, რა დროსაც მათთან მივიდა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი თემურ კარბაია, რომელმაც მათ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტმა გიზო ცაცუამ აღნიშნული პიროვნება გაიყვანა გვერდით და მოუწოდა დამშვიდებისაკენ. ინციდენტი ამით აღმოიფხვრა. 23 სექტემბერს, შემთხვევის ადგილზე მყოფ ორ პიროვნებას, „ქართული ოცნების“ აქტივისტებს: გიზო ცაცუას და გოდერძი შონიას მიაკითხეს სახლში პოლიციელებმა და დაიბარეს დაკითხვაზე.**

**ფოთის სასამართლომ გოდერძი შონია და გიზო ჩაჩუა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო და მათ 40-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ადვოკატებმა შონიას და ცაცუას მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს, როგორც უკანონო გადაწყვეტილება და მისი გაუქმება მოითხოვეს.**

ინტერპრესი

ფეხბურთი

# არის ასეთი გუნდი

კი გვიმტკიცებენ ზოგ-ზოგები, შეზღუდული რესურსებითა და ადგილობრივი კადრებით შეუძლებელია კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნა, რომელიც ევროპული საკლუბო ელიტის ღირსეული წევრი გახდებაო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის სტარტი ადასტურებს, რომ გამონაკლისი ყოველთვის არსებობს.

ბორისოვოს ბატეს ვგულისხმობთ, რომელმაც ჯერ საფრანგეთში გაილაღა „ლილთან" – 3:1, ხოლო შემდეგ არც მეტი, არც ნაკლები, თვით მიუნხენის „ბაიერნი" დააჩოქა ანალოგიური შედეგით. ჩვენს ინტერესს სლავებისადმი ის ფაქტიც ამძაფრებს, რომ სწორედ აღნიშნული პროვინციული გუნდი წარმოადგენს ბელარუსის ეროვ-



ნული ნაკრების საბაზო კლუბს, რომელიც „ჯვაროსანთა" ერთ-ერთი მეტოქეა „მუნდიალ-2014"-ის შესარჩევ ტურნირში.

II ტურშივე ჩემპიონთა ლიგაში საიუბილეო მე-



ასე გამარჯვება მოიპოვა „მანჩესტერმა", ხოლო კვირას გასამართი „ელ კლასიკოს" წინ ხელი მოიტეხა კატალონიელთა დაცვის ბურჯმა კარლეს პუიოლმა.

**სამშაბათის თამაშების სრული შედეგები**

**„ე" ჯგუფი.** „იუვენტუსი" – „შახტარი" 1:1 (ბონუჩი; ტეიშეირაძ, „ნორდსიელანდი" – „ჩელსი" 0:4 (მატა – 2, ლუიზი, რამირესიძ.

„ჩელსი", „შახტარი" – 4-4, „იუვენტუსი" – 2, „ნორდსიელანდი" – 0 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** ბატე – „ბაიერნი" 3:1 (პავლოვი, როდიონოვი, რენანი; რიბერიძ, „ვალენსია" – „ლილი" 2:0 (ჟონასი – 2ძ.

ბატე – 6, „ბაიერნი", „ვალენსია" – 3-3, „ლილი" – 0 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** „ბენფიკა" – „ბარსელონა" 0:2 (სანჩესი, ფაბრეგასიძ, „სპარტაკი" – „სელტიკი" 2:3 (ემენიკე – 2; ჰოპერი, კომბაროვი – საკუთარ კარში, სამარასიძ.

**„თ" ჯგუფი.** „კლუჟი" – „მანჩესტერი" 1:2 (კაპეტანოსი, ვან პერსი – 2ძ, „გალათასარაი" – „ბრაგა" 0:2 (მიქაელი, ალანიძ.

„მანჩესტერი" – 6, „კლუჟი", „ბრაგა" – 3-3, „გალათასარაი" – 0 ქულა.

**მანუჩარ გიორგაძე**

ძალოსნობა

# ეილატიდან ეილატამდე

**წლეულს, 29 ნოემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით ეილათი (ისრაელი) 20 და 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში ქართველთაგან გიორგი ლომთაძე, ვილიამინ ალექსიძე, ლაშა ტალახაძე (20-წლიანები) და დავით გოგია (23-წლიანები) იასპარეზებენ. საგულისხმოა, რომ სამი წლის წინათ ლომთაძემ და ალექსიძემ ეილათში კადეტთა შო-**



**რის მოიპოვეს ევროპის ჩემპიონობა.** ოთხივე ქართველი ძალოსანი ამ შეჯიბრებაზე ოქროს მედლის რეალურ კანდიდატებად მიიჩნევიან. საქართველოს ძალოსანთა ეროვნულმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც ზემოთ დასახელებული ბიჭებიც არიან, მთავარი მწვრთნელის – ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით გუშინ დუშეთში საწვრთნელი შეკრება დაიწყო. ფაქტობრივად, ეს არის 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პირველი ეტაპი.

უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ერთად აიმაღლებს ოსტატობას 15 წლის ქუთაისელი დავით ხეცურიანი (85 კგძ, რომელმაც ამას წინათ კადეტთა საქართველოს პირველობა მოიგო დიდი უპირატესობით. ნაკრების მთავარ მწვრთნელს მისი ძალიან ეიმედება. ხეცურიანის გარდა, ზუგდიდში გამართულ პირველობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ლუკა ჯალაღონია (ზუგდიდი, ორჭიდში 76 კგძ, ვიტალი სირაძე (საჩხერე, 88ძ, გოგი ბეზელიძე (საჩხერე, 110ძ, ირაკლი მხეიძე (ზუგდიდი, 135ძ, რეზო დავითაძე (თბილისი, 145ძ, დავით მამულაიშვილი (აჭარა, 156ძ, ირაკლი ჯალაღონია (ზუგდიდი, 175ძ, გიგა ბოგვერაძე (ხაშური, 187ძ, გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი, 250ძ.

**გუნდური.** 1. აჭარა (104ძ, 2. ქუთაისი (92ძ, 3. ზუგდიდი (90ძ ქულა.

**ლაშა დიდია**

მუნდიალ – 2014

# ერთი კვირაც და...

**დავკარგეთ ლორია, დავიბრუნეთ ყენია.**

**დიახ, გადატანილი პოლიტიკური ბატალიების შემდეგ თანდათან სპორტული ცხოვრებაც კალაპოტში ექცევა, მათ შორის – ეროვნული ნაკრების შესარჩევ ტურნირთან დაკავშირებით.**

შეგახსენებთ, რომ „ჯვაროსნებმა" წლევანდელი ციკლი ორი საშინაო მატჩით გახსნეს: ბელარუსთან – 1:0, ესპანეთთან – 0:1 და ოქტომბერში სტუმრად სეზონის დასკვნით შეხვედრებს გამართავენ: 12-ში ფინეთთან და 16-ში – ბელარუსთან.

უშუალო კონკურენტებთან პრინციპული ბრძოლებისთვის თემურ ქეცბაიამ ასეთ კონტინგენტს უხმო.



**მეკარეები:** რევიშვილი, კვასხვაძე, მიგინეიშვილი.

**მცველები:** ლობჟანიძე, ხუბუტია, კაშია, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, ფოფხაძე, გრიგალავა, თომაშვილი.

**ნახევარმცველები:** დაუშვილი, კვირკველია, ოქრიაშვილი, კობახიძე, თარგამაძე, კანკავა, ყენია, ძალამიძე, ანანიძე, გურული, დევდარიანი.

**თავდამსხმელები:** მჭედლიძე, სირბილაძე.

დავძენთ, რომ ჩვენი გუნდი საწვრთნელ შეკრებას ჰელსინკიში 8 ოქტომბერს დაიწყებს.

**გიორგი შოთაძე**

სეოკი

# ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები 20 დეკემბრამდე გადაიდო

**ეს გადაწყვეტილება ოლიმპიური კომიტეტის გუშინდელ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე მიიღეს.**

**ყრილობაზე, რომელსაც კომიტეტის პრეზიდენტი მომავალი 4 წლის ვადით უნდა აერჩიათ, ერთადერთი კანდიდატი, მოქმედი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი იყო. პრეზიდენტის არჩევნების გადადების საკითხი რამდენიმე დელეგატმა დააყენა, მათ შორის „ქართული ოცნების" წევრი შოთა ხაბარელიც იყო.**





დელეგატებს, რომლებიც ყრილობის გადადებას მოითხოვდნენ, რამდენიმე არგუმენტი ჰქონდათ. პირველ რიგში ისინი უსამართლოდ მიიჩნევდნენ არაკონკურენტულ არჩევნებს, სადაც მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო წარმოდგენილი, გარდა ამისა, ისინი უსამართლოდ მიიჩნევდნენ, რომ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები ცალკეული ფედერაციების პრეზიდენტების არჩევნებამდე ჩატარებულიყო, რადგან ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი უნდა აირჩიონ სწორედ იმ ფედერაციებმა, რომლებთანაც მომავალი 4 წლის განმავლობაში ითანამშრომლებს. დაახლოებით ნახევარსაათიანი კამათის შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა არჩევნების გადადების საკითხს უყარეს კენჭი და მათი უმრავლესობის გადაწყვეტილებით ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები 20 დეკემბერს გაიმართება.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ლერი ხაბელოვი იქნება, – ამის შესახებ ოლიმპიური კომიტეტის საარჩევნო ყრილობის დასრულების შემდეგ ოლიმპიურმა ჩემპიონმა და ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა განაცხადა.

კალათბურთი

# ესეც საკმარისია

**მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუ" წარმატებით ჩაება იტალიის ჩემპიონატში.**

**შეგახსენებთ, რომ სეზონის სტარტზე ამ კლუბმა ქვეყნის სუპერთასი იქაურ ჩემპიონ „მონტეპასკისთან" ბრძოლაში მოიპოვა, ხოლო შემდეგ ევროლიგის პირველი ჯგუფური რაუნდის საგზურს დაეუფლა.**

რაც შეეხება „სერია–ა"-ს სასტარტო თამაშს, ანდრეა ტრინჩიერის შეგირდებმა შინ „ვენეცია" დაჯაბნეს – 81:61.

18 წუთში მოგროვებული 3 ქულა და 1 მოხსნა – ასეთია ჩვენი თანამემამულის მოკრძალებული პირადი მონაგარი.

**ვიტალი ჯაფარიძე**



სიტუაცია

# „ქაისერი" დატოვა



**სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი შოთა არველაძე, რომლის შთამბეჭდავი ულხოური კარიერა თურქული „ტრაბზონსპორისთან" დაიწყო, ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ ქვეყნის „ქაისერი-სპორის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ.** კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, 39 წლის ქართველმა სპეციალისტმა, გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობებიდან გამომდინარე, თანამდებობიდან თავისი ნებით გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო. თურქული კლუბის თავკაცებმა არველაძეს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს.

საკლუბო რეიტინგი

# „დილა" საუკეთესოა

**მსოფლიოს 450-მდე კლუბია აღნუსხული ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციაში, რომელმაც ბოლოდროინდელი მონაცემების გათვალისწინებით მათი მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა.** მასში თბილისის „დინამო" ვერ მოხვდა. საქართველოდან საუკეთესოა გორის „დილა", რომელსაც 186-ე ადგილი უკავია. 248-ე ადგილზე დაქვეითდა რუსთავის „მეტალურგი", 287-ზე – „ზესტაფონი". ქუთაისის „ტორპედომ" 420-დან 397-ე ადგილზე აინაცვლა.



ბედი განძისა

# რას და რად გვიმალავს ეროვნული მუზეუმი?

## ვაგრძელებთ სვანეთის საგანძურის დასაცავად სამართლებრივ ბრძოლას



**ინტერნეტგამოცემა for.ge სვანეთის საგანძურის დასაცავად სამართლებრივ ბრძოლას აგრძელებს. უახლოეს დღეებში ჩვენი უფლებების დამცველ ადვოკატ მამუკა ნოზაძესთან ერთად ჩამოვყალიბდებით და მკითხველს ვაცნობებთ, რა მიმართულებას მივცემთ სამართლებრივ ბრძოლას იმ საჯარო ინფორმაციის და დოკუმენტების მოსაპოვებლად, რომელიც სვანეთში დაცულ საქართველოს საგანძურს ეხება.**



საქმე ის არის, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის კანცელარიიდან 26 სექტემბერს წამოვიღეთ წინა დღით დათარიღებული წერილი (თანხმლები სამი დოკუმენტით და სამი ფოტოთი), რომელშიც აღნიშნულია, რომ მუზეუმი გვაწვდის იმ საჯარო ინფორმაციას და დოკუმენტებს, რომელთა მოწოდება მას 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილმა დაავალა.

ეროვნული მუზეუმიდან წამოღებული წერილით კიდევ უფრო გვიმძაფრდება საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ საგანძურის გარშემო ყველაფერი წესრიგში არ არის. უფრო მძაფრი შეფასებებისგან ამჯერად თავს შეგნებულად ვიკავებთ, სანამ ბოლომდე არ ჩამოვყალიბდებით სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელების გეზთან დაკავშირებით.

ჩვენი კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემა მუზეუმს სასამართლომ დაავალა, ოთხი თაბახის გვერდზეა ჩამოყალიბებული, ხოლო მუზეუმის წერილი სულ სამგვერდიანია. ამ ეტაპზე დეტალებში ჩაღრმავებისგან თავს ვიკავებთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ 26 სექტემბერს აღსრულების ეროვნულ ბიუროში გახლდით დეტალების დასაზუსტებლად. იქიდან საქალაქო სასამართლოში წავედით და სააღსრულებო ფურცლის ასაღებად განცხადება დავწერეთ. განგვიმარტეს, რომ სააღსრულებო ფურცელს 2 ოქტომბერს გადმოგვცემენ.

საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ შესაძლებელია აღსრულების ეროვნულ ბიუროს გვერდი ავუაროთ და სამართლებრივი ბრძოლა სხვა მიმართულებით გავაგრძელოთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ ეროვნულ მუზეუმს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ კითხვებით 2011 წლის 30 ნოემბერს და 6 დეკემბერს მივმართეთ. იქიდან მიღებული პასუხი ადმინისტრაციული წესით გავასაჩივრეთ, რომელიც განუხილველი დატოვეს. შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მივმართეთ, რომელიც მიმდინარე წლის 29 მარტს მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილმა განიხილა და ჩვენი მთავარი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ეროვნულმა მუზეუმმა 29 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილმა მუზეუმის სააპელაციო საჩივარი განიხილა, მაგრამ არ დააკმაყოფილა, ანუ ძალაში დატოვა for.ge-ს სასარგებლოდ 29 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილება. ეროვნულ მუზეუმს უზენაესი სასამართლოსთვის აღარ მიუმართავს.

როგორც მასალის დასაწყისში აღვნიშნეთ, უახლოეს დღეებში, ჩვენი უფლებების დამცველ ადვოკატ მამუკა ნოზაძესთან ერთად ჩამოვყალიბდებით და გაცნობებთ რა მიმართულებით გავაგრძელებთ ბრძოლას სვანეთის მუზეუმში დაცულ საქართველოს საგანძურთან დაკავშირებით.

**ნინო მიქიაშვილი**

ჩვენი კარაბადინი

# საგანგაშო ხერხემალი

**როდესაც საუბარი ხერხემლის პრობლემებზე ჩამოვარდება, ადამიანების უმრავლესობა, უწინარეს ყოვლისა, იხსენებს ოსტეოქონდროზს — მალებსშორისი დისკების დარღვევებს.**

**თუმცა, მასთან მხარდამხარ ჩვეულებრივად მიდის დაავადება — სპონდილოართროზი. რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ?**



### როგორ არის ყველაფერი მოწყობილი?

**ხერხემალს საკმაოდ რთული აგებულება აქვს. მის ყველაზე მასიურ ნაწილს სხეული ეწოდება. მისი გაგრძელებაა ხერხემლის რკალი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს იმ არხის ჩამოყალიბებაში, რომელშიც არის განთავსებული ზურგის ტვინი. რკალიდან კი, თავის მხრივ, გადის სახსრების წამონაზარდები. ისინი ოთხია — ორი ზევიდან და ორი — ქვევიდან. ზედა ხერხემლის ქვედა წამონაზარდი უერთდება ზედა წამონაზარდს. და ისინი ქმნიან სახსარს (მას რკალწამონაზარდს უწოდებენ). ეს სახსრები მალებსშორის დისკებთან ერთად უზრუნველყოფენ ხერხემლის სტაბილურობასა და მოძრაობას.**

დიაგნოზს „სპონდილოართროზი" სვამენ, როდესაც სახსრებში დისტროფული ცვლილებები ხდება. როგორც წესი, ეს პროცესი ვითარდება დისკების ნგრევის პარალელურად. თუმცა, სპონდილოართროზის კლინიკური ნიშნები ჩნდება მანამ, სანამ ოსტეოქონდროზი თავს შეგვახსენებს. სხვადასხვა ეტაპზე ჩნდება დისკომფორტი ზურგის ან კისრის არეში. ძალიან ძლიერი არა, მაგრამ აბეზარი ყრუ ტკივილი იწვევს ძნელად დასაძლევ სურვილს შეიცვალო პოზა. თუ ზომებს არ მივიღებთ, შემდგომ იგი თანდათან გაიზრდება, შეზღუდავს მოძრაობას და ძლიერ გააუარესებს ცხოვრების ხარისხს.

### თუ შემოგიტიათ

**სპონდილოართროზს შეუძლია გამოიწვიოს ტკივილის ძლიერი შემოტევები. ამ შემთხვევაში თავდაპირველად საჭიროა მაქსიმალური დამნდობი, სასურველია წოლითი რეჟიმი. რამდენიმე ათეული წლის წინათ ექიმები ამბობდნენ, რომ შეტევის დროს ავადმყოფი უმჯობესია იწვეს სამი დღე, ვიდრე მთელი კვირა მკურნალობდეს. ეს აქტუალობას არ კარგავს არც ახლა. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ზურგის კუნთები დუნდება და ეს ამცირებს ტკივილებს.**



პროცესის დასაჩქარებლად, სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ შეიძლება გამოიყენო კუნთების რელაქსანტები — პრეპარატები, რომლებიც ამცირებენ კუნთის ტონუსს და ტკივილსაც ოდნავ ამსუბუქებენ. ტკივილის მოხსნაში გვეხმარება ნოვოკაინის ბლოკადებიც, რომლებსაც გამწვავების დროს აწარმოებს ექიმი.

სპონდილოართროზის შეტევის მოხსნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები. ისინი ახდენენ ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო გავლენას, თუმცა ისინი უნდა მივიღოთ ფრთხილად. ისინი ნეგატიურ გავლენას ახდენენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტზეც, შეიძლება გამოიწვიონ წნევის აწევა, დარღვევები გულისა და სისხლძარღვების მუშაობაში. თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გაქვთ ერთი ან მეორე პრობლემები, აუცილებლად გააფრთხილეთ ექიმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია გართულებები.

### შემდეგ რა?

**შეტევის მოხსნის შემდეგ მკურნალობაში ერთვება ჰონდროპროტექტორები — პრეპარატები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ სახსრებსშორისი ხრტილის დაშლას, აგრეთვე იძლევიან ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს. მათ ამზადებენ ბუნებრივი კომპონენტების საფუძველზე, რომლებიც მიღებულია ფრინველებისა და ცხოველების ხრტილისგან და კიბოსმაგვართა ჯავშნებისგან. ასეთი საშუალებები შეიძლება მივიღოთ კურსებად 3-6 თვეში ან გამოვიყენოთ მუდმივად პროფილაქტიკური დოზებით — სქემას ჩვეულებრივად არჩევს მკურნალი ექიმი.**

როგორც კი შემცირდება ტკივილი, საჭირო იქნება თანდათან გავაფართოოთ მოძრაობითი რეჟიმი — შევასრულოთ აღდგენითი ვარჯიშები. ისინი აუმჯობესებენ ზურგის კუნთებისა და ხერხემლის სისხლით მომარაგებას, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლას ქსოვილებში. სამკურნალო ფიზკულტურა აუცილებელია მომავალი გამწვავებების პროფილაქტიკისთვის. ყველაზე უკეთესია, დავიწყოთ ვარჯიშები ინსტრუქტორთან ერთად, და როდესაც შევისწავლით ვარჯიშებს, რეგულარულად შევასრულოთ ისინი დამოუკიდებლად.

### რომ არ ვიავადმყოფოთ

**სპონდილოართროზის განვითარების მიზეზები ჰგავს ფაქტორებს, რომლებსაც მივყავართ ოსტეოქონდროზთან. უწინარეს ყოვლისა, ეს არის გადატვირთვები, რომლებსაც განიცდის ხერხემალი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ისინი წარმოიქმნება, თუ ადამიანი ხშირად ეწევა სიმძიმეებს, დიდი ხნის განმავლობაში უწევს მუშაობა მოხრილ მდგომარეობაში. რისკის მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯდომითი ცხოვრების წესი. ჯდომის დროს გადაადგილდება სიმძიმის ცენტრი, გადანაწილდება დატვირთვა ხერხემლის სვეტზე, თანაც არარაციონალურად, ზოგიერთი მალა განიცდის მეტ ზეწოლას, ვიდრე სხვები.**

სენის რისკის შემცირებაში გვეხმარება მარტივი წესები, რომლებსაც ბევრი ჩვენგანი, სამწუხაროდ, უგულებელყოფს.

- ხერხემალზე დატვირთვა რომ ოპტიმალური იყოს, უნდა ვიჯდეთ გამართული წელით, ნახევრადმაგარ სკამზე ან სავარძელზე, რომელთა ზურგის მისაყუდებელი იმეორებს ხერხემლის ბუნებრივ მოხრილობას. ტერფები ამ დროს უნდა ეყრდნობოდეს იატაკს, მუხლები თეძოზე ოდნავ მაღლა უნდა იყოს.
- არ შეიძლება სიმძიმეების აწევა ატაცით ან ტანის ერთდროულად შემობრუნებით. არ არის საჭირო 15 კილოგრამზე მეტი ტვირთის გადატანა. ნებისმიერი ტვირთი უნდა ვატაროთ ორივე ხელით, მკერდთან მიკრული.
- უნდა ვიძინებდეთ მაგარ ლოგინში, დაბალი ბალიშით, რომ კისრის მოხრილობა ფიზიოლოგიური იყოს.
- ყურადღება მიაქციეთ ფიგურას. სიმსუქნის დროს ზედმეტი დატვირთვა ხერხემლის სახსრებზე ხდება მუდმივი და არა მხოლოდ როგორც ფიზიკური დატვირთვის დროს.
- აუცილებელია განვამტკიცოთ კისრისა და ზურგის კუნთების მუსკულატურა. ეს უზრუნველყოფს ხერხემლის დამატებით მხარდაჭერას და ბევრად ამსუბუქებს მის „მუშაობას". ივარჯიშეთ ძალოვან ტრენაჟორებზე (ოღონდ სწორად გაიანგარიშეთ თქვენი ძალები), აგრეთვე ყურადღება მიაქციეთ სპორტის ისეთ სახეებს, როგორიცაა ცურვა, ტერენკური, თხილამურებით სიარული.

**ნატალია ფურსოვა**

ЗДОРОВЬЕ

**ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი**

**მინდია ყალიჩავა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: თუ შეიძლება, განმიმარტეთ, მოქმედი შრომის კოდექსი როგორი წესით ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაცემას?**

**ლარისა ვარდიაშვილი**

**პასუხი**: საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს სამუშაო ადგილზე, თვეში ერთხელ ან დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეთანხმებით — ბანკის მეშვეობით.

* * *

**კითხვა: დამსაქმებელმა, რომელთანაც ვმუშაობდი, გამოგვიცხადა ლოკაუტი, ე. ი. დროებით გვითხრა უარი მოცემული სამუშაოს შესრულებაზე. დასაქმებულთა ჯგუფმა გავასაჩივრეთ მისი გადაწყვეტილება. სასამართლომ ჩვენი საჩივარი სამართლიანად ცნო და ლოკაუტი უკანონოდ ჩათვალა. გთხოვთ გვაცნობოთ, არის თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, აგვინაზღაუროს იმ პერიოდის ხელფასი, როცა ყოვლად უმიზეზოდ არ მოგვცა სამუშაოს შესრულების უფლება?**

**თენგიზ კარტოზია**

**პასუხი**: დიახ, უნდა გადაგიხადოთ, ვინაიდან კანონის თანახმად, თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ სცნო, დამსაქმებელი ვალდებულია, აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## ომის გამოძახილი

# „ლებენსბორნის“ ბავშვთა საიდუმლო



**1942 წლის 10 ივნისს გერმანიის რაიხის სს-ის დივიზიამ „უფლისწული ევგენი“ ჩეხეთის დედაქალაქის პრაღის მახლობლად სოფელი ლიდიცე მიწასთან გაასწორა, — ეს ბარბაროსული აქცია პარტიზანების მიერ ობერგრუპენფიურერ ჰაინრიჰ ჰეიდრიხის მკვლელობის პასუხად მონათლეს. მანამდე კი სოფელში 23 ბავშვი შეარჩიეს და პოლონეთის ქალაქ ლოძში წაიყვანეს, დანარჩენი მოსახლეობა კი ან დახვრიტეს, ან საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს.**

— თავადაც არ ვიცი რატომ დამტოვეს ცოცხალი, რადგან მაინცდამაინც არიული გარეგნობა არ მქონდა. მაგრამ სს-ის ოფიცერმა თქვა: — „ეს გოგონა „ლებენსბორნისთვის“ გამოდგებაო, — ამბობს 80 წელს მიღწეული ქალბატონი მარიამ დოლეჟალოვა-შუპიკოვა. — პოლონეთში ხელახალი შერჩევა ჩაატარეს და ექვსი გოგონა და ერთი ბიჭი დაგვტოვეს. ჩემს გარდა ყველანი ქერათმიანე-



ბი და ცისფერთვალებიანნი იყვნენ. თავდაპირველად თავშესაფარ „ლებენსბორნში“ ვიმყოფებოდი, მერე აღსაზრდელად ქალაქ პოზნანში მცხოვრებ გერმანელთა ოჯახს გადამცეს. მე ახალი საბუთები და ახალი სახელი ინგებორგე შილერი მომცეს. სამ წელიწადში მშობლიური ენა გადამავიწყდა, ჩეხურად ნათქვამი სიტყვისთვის მსჯიდნენ და ასე მეუბნებოდნენ: „ახლა შენ ბატონთა რასას მიეკუთვნები, ეს კი უდიდესი პატივია!“.

ორგანიზაცია „ლებენსბორნი“ (რაც გერმანულად „სიცოცხლის წყაროს“ ნიშნავს), სს-ის რაიხსფიურერის ჰაინრიჰ ჰიმლერის ბრძანებით 1935 წლის 12 დეკემბერს შეიქმნა, თავდაპირველად იგი როგორც თავშესაფართა ქსელი იქმნებოდა, სადაც გერმანელ ქალიშვილებს ახალშობილ უკანონო ბავშვთა ჩაბარება შეეძლოთ. ბიჭის ჩამბარებელი ორივე მშობლისგან რასობრივი სისუფთავის დამადასტურებელ, ქრონიკულ დაავადებათა და ნასამართლეობის უქონლობის შესახებ ცნობებს ითხოვდნენ. ჰიმლერის აზრით, „ლებენსბორნი“ — „იდეალური ნორდული რასის“ შექმნის ფაბრიკა უნდა ყოფილიყო, რომლის აღზრდილებს ჩეხეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ტერიტორიები უნდა დაესახლებინათ.

1940 წლიდან „ლებენსბორნის“ ფუნქციები გაფართოვდა — ორგანიზაციამ დაპყრობილ ქვეყნებში ახალი მიმღები პუნქტები გახსნა — ათი ნორვეგიაში, სამი პოლონეთში, ორი დანიაში და თითო-თითო ნიდერლანდში, საფრანგეთსა და ლუქსემბურგში.

ოფიციალურად სსრ კავშირში არც ერთი თავშესაფარი არ მოქმედებდა, მაგრამ ნიურნბერგის პროცესზე და „ლებენსბორნის“ შეფის, სს-ის შტანდარტენფიურერის მაქს ზოლმანის ინტერვიუდან სულ სხვა რამ გახდა ცნობილი. თანამედროვე რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის ტერიტორიაზე ხუთიდან 50 ათასამდე სამ წლამდე ასაკის ბავშვი მშობლებს წაართვეს და „ლებენსბორნს“ გადასცეს, რომელთაგან ზოგიერთები მერე უშვილო გერმანულ ოჯახებს აღსაზრდელად გადასცეს.

— 1941 წელს მესამე რაიხის ხელმძღვანელობამ სლავების გაგერმანელების პროგრამის დაწყების ბრძანება გასცა, — ამბობს ვროცლაველი ისტორიკოსი თადეუშ მალიცკი. — „ლებენსბორნს“ ჩეხეთში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არიული გარეგნობის — ქერათმიანი და ცისფერთვალება ბავშვთა შერჩევა ჰქონდა დავალებული. „ლებენსბორნში“ ხშირად რამდენიმე დღის ასაკის ჩვილებსაც აგზავნიდნენ!

ასოციაცია „ომით შობილნი“ (რომელიც ევროპაში 1939-1945 წლებში დაბადებულ პირებს აერთიანებს) პრეზიდენტის ჰერლინდა სვილენის განცხადებით, მან უამრავი შემთხვევა იცის, როცა ბავშვებს „ლებენსბორნის“ თავშესაფრებისთვის საგანგებოდ იტაცებდნენ.

— თუკი მშობლები წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ, მათ ბავშვის თვალწინ კლავდნენ, — ამბობს ქალბატონი სვილენი. — მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ის არის, რომ ომის დასრულების შემდეგ სს-ის ინკუბატორებიდან სახლებში აღმოსავლეთ ევროპულ მცირეწლოვან ტუსაღთა მხოლოდ მეოთხედი დაბრუნდა! რა იქნა დანარჩენი ბავშვები, კაცმა არ იცის! 1945 წლის 28 აპრილს ამერიკელთა ჯარის მიუნჰენში შესვლამდე „ლებენსბორნის“ არქივი მისმა თანამშრომლებმა გაანადგურეს, რის შედეგად გერმანიზაციაში მოყოლილ ბავშვთა დოსიეები უკვალოდ გაქრნენ. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ბევრი მაშინდელი ბავშვი ახლაც ცოცხალია და თავისი წარმომავლობის შესახებ არანაირი წარმოდგენა არა აქვს.

**ნინო ალექსანდრია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### ბიძინა ივანიშვილი უკვე მთავრობის დაკომპლექტებას იწყებს

მეოცნებეები გამარჯვებას ზეიმობენ. კოალიციაში უკვე ახალი მთავრობის დაკომპლექტებას იწყებენ, ამას ბიძინა ივანიშვილიც ადასტურებს, თუმცა, ამბობს, რომ მთავრობის ფორმირების გეგმა ჯერ არ გააჩნიათ. ცნობილი გახდა, რომ მის მთავრობაში არცერთი მოქმედი მინისტრი არ მოხვდება.

„ახალი თაობა“

### 100-მილიონიანი არჩევნები დასრულებულია

საპარლამენტო არჩევნებში დახარჯული თანხის მოცულობა 96,769 მილიონ ლარს აღწევს. სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებით, 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოსთვის 47385 მილიონი ლარი გაიწერა, აქედან 23,759 მილიონი ლარი ხელფასებზე მოდის.

„რეზონანსი“

### ინტერვიუ ყოფილ პატიმარ ქალთან

ჟურნალისტი ნანა სულავა საპატიმროში გატარებულ 5 წელს იხსენებს და ქალთა კოლონიას „ქართულ გულაგს“ უწოდებს: „რა გრძელვადიან პაემნებზეა საუბარი? რომელი წესიერი ქალი შევა ქმართან დასაწოლად, როცა იცის, რომ კამერებით უღებენ? თანაც, ეს როგორი პაემნები გამოდის, როცა ჯერ ქალებს აუპატიურებდნენ და მერე მიჰყავდათ ქმრებთან? პლუს, ეს პაემანი ფული ღირს — 120 ლარია საჭირო ერთ ღამეში“.

„ქართული სიტყვა“

## ინფორმაცია

### ქართველი პოლიციელი გაათავისუფლეს

საოკუპაციო ჯარის მიერ დაკავებული პოლიციის თანამშრომელი მოგელი ტოლიაშვილი გაათავისუფლეს, — ამის შესახებ ინფორმაციას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ავრცელებს.

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მიესალმება ყველა მხარეს შორის გამოვლენილი თანამშრომლობის ხარისხს 2012 წლის 29 სექტემბერს ქარძმანის/პერევის მახლობლად მომხდარი შესაძლო სახიფათო შედეგების გამომწვევი სროლის ინციდენტის შემდეგ, როდესაც საქართველოს პოლიციის თანამშრომელი დააკავეს ადმინისტრაციული საზღვარის მეორე მხარეს. 1 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების მიერ ქართული მხარისადმი მისმა გადაცემამ სიტუაციის სწრაფ მოგვარებამდე მიგვიყვანა. შემთხვევის გარემოებების გასარკვევად და მისი სწრაფი მოგვარების ხელშესაწყობად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ყველა მხარესთან იყო კავშირში. მათ შორის მისიამ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი „ცხელი ხაზით“ ისარგებლა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ჯი-ეიჩ-ენი

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს — 247-57-79.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— კი, მაგრამ რად გინდა ქოლგა?

— უცებ რომ გაწვიმდეს?

— პირველად ვხედავ, შენობაში მყოფ ადამიანს წვიმის რომ ეშინოდეს.

— არც მეშინია, მე ხომ ქოლგა მაქვს.

* * *



შაბათ-კვირის შემდეგ ყველაზე ძნელი პირველი ხუთი დღეა.

* * *

პირველ სართულზე ვცხოვრობ.

ღამით ფანჯრიდან მომპარეს მწერებისგან დამცავი ბადე.

მეორე ღამით ბადე დააბრუნეს პატარა წარწერით: „ჩემს ფანჯარაზე არ გამოდგა. მაპატიეთ შეწუხებისთვის“.

* * *

ნეხვად დაბადებული შოკოლადად ვერ იქცევა.

* * *

— შენს თავს არავის დავუთმობ.

— მე თვითონ წავალ სადმე, რო?

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24